# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 26 ივნისი, 2013 წელი.

№118 (7245)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილი – კასრზე და კასრში

3

## ისტორიული სამართლიანობა უნდა აღდგეს!

# აკადემიკოსი ლომინაძე შჩოლკინის ძეგლის აღდგენას გვპირდება

2009 წლის 25 ნოემბრის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“ სათაურით „რა დააშავა ბატონმა შჩოლკინმა?“ დაიბეჭდა ინფორმაცია „სკვერიდან თამარაშვილის ქუჩაზე, რომელიც თბილისში ფიზიკის ინსტიტუტთანაა, გაქრა 1982 წელს დადგმული კირილ ივანეს ძე შჩოლკინის ძეგლი. ქანდაკების ავტორია გ.თოიძე, არქიტექტორი — გ.ჩიჩუა. კირილ ივანეს ძე შჩოლკინი „სსრ კავშირის ატომური პროექტის“ ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ის „თბილისელი ბიჭი“ იყო, დაიბადა თბილისში 1911 წლის 17 მაისს, ბიჭუნა დარბოდა მის უსწორ-მასწორო ქუჩებში, სამგზის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამიტომ დაიდგა მისი ძეგლი ჩვენს





აკადემიკოსი ჯ.ლომინაძე და ფელიქს შჩოლკინის მეუღლე, კ. ი. შჩოლკინის ბიუსტის გახსნის დროს მის სამშობლოში, თბილისში. 1982 წ.

ასე გამოიყურებოდა კირილ შჩოლკინის ძეგლი, რომელიც იდგა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე ფიზიკის ინსტიტუტის შენობასთან.

დედაქალაქში. საინტერესოა, სად წაიღეს? სამწუხაროდ, ქალაქ თბილისის მერიამ ვერაფრით აგვიხსნა მისი გაქრობა“. გაზეთი არაერთგზის დაუბრუნდა ამ თემას. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ცნობილ მეცნიერთან, აკადემიკოსთან, ვინაც იდგა „სსრ კავშირის ატომური პროექტის“ სათავეებთან, ასტროფიზიკოს ჯუმბერ ლომინაძესთან, რომელიც ბირთვული ფიზიკის გამოჩენილ მეცნიერთან შჩოლკინთან მუშაობდა. რუს მწერალთან, ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემული წიგნის — „ატომური საუკუნე. ბომბი“ — ავტორთან ვლადიმირ გუბარევთან საუბარში მეცნიერმა განაცხადა, რომ აუცილებლად მოჰკიდებს ხელს მსოფლიო სახელის მქონე ჩვენი თანამემამულის ძეგლის აღდგენას.

იხ. 6-7 გვ.

## ნაცმოძრაობის ჯანსაღი ნაწილი უნდა გამოეყოს სადისტური ნაწილისაგან

4




## რამდენად რეალურია „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა?

5

## კუდის ყოფილი თანამშრომელი ვიდეომასალებისა და სამალავების შესახებ ალაპარაკდა

2

## რეგიონებში ადამიანები უფასო სასადილოების რიგში დგანან

9

## ოდა მაესტროს და მის უდიდებულესობა მსახიობს

## გიორგი კვესიტაძე:

7



## დაქსაქსულ მეცნიერებას გავაერთიანებთ, ქართული მეცნიერების პრესტიჟს დავიცავთ!

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვიზიტი

# ივანიშვილის მიერ დარგულ მილიონ ხეს კიდევ ერთი შეემატა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ისრაელის ეროვნულ ფონდში ხე დარგო. როგორც პრემიერმა აღნიშნულის შემდეგ დამსწრე საზოგადოებისადმი სიტყვით მიმართვისას განაცხადა, მას მილიონზე მეტი ხე ექნება დარგული.**

— მიხარია, რომ ჩემი ყველაზე საყვარელი და მეგობარი ქვეყნის მიწაზე მოვახერხე ხის დარგვა — ეს ჩემი ჰობია, ბუნება ჩემი ჰობია, ალბათ, მილიონი ხე მაინც მექნება დარგული ჩემს ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ თქვენთან ერთად და შესაძლებლობა მქონდა აქ დარგულ ათასობით ხეს ჩემს მიერ დარგული ერთი ხეც შემატებოდა, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ მას ძალიან უყვარს ებრაელი ხალხი და ბუნება.

თელ-ავივში, სასტუმრო „Hilton“-ში, საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმი გაიხსნა. ფორუმი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოსა და ისრაელის ექსპორტისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის ორგანიზებით იმართება.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა. ასევე, საქართველოს ენერგო სექტორის შესახებ პრეზენტაციით წარსდგა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე.

ფორუმში ისრაელის 80-მდე და საქართველოს 25-მდე წამყვანი კომპანიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გუშინ თელ-ავივში საქართველოდან ემიგრირებულ ებრაელებს შეხვდა.

— სასტუმრო „ჰილტონში“ გამართული შეხვედრა, რომელსაც ქართული დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო, თბილ და მეგობრულ გარემოში წარიმართა. სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით ისაუბრა ქართულ-ებრაული მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე და აღნიშნა, რომ გამოთქმა „ქართველი ებრაელი“ სწორედ ამ მეგობრობის დასტურია.

აღნიშნულის გარდა ბიძინა ივანიშვილმა ქართული დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, იერუსალიმის ძველი ქალაქი დაათვალიერა და გოდების კედელი მოინახულა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ისრაელში ვიზიტი გუშინ დასრულდა.

**ინტერპრესი**

გია ჟორჟოლიანი ტყემალზე ზის?

# იმპიჩმენტს ხანდახან ცუდი შედეგები მოაქვს

**პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევაში აღარ ამოქმედდება კონსტიტუციის ის ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.**

მისი თქმით, ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ისევ დარჩება ხელში უზარზამარი ძალაუფლება და ეს ძალაუფლება არ გადავა მთავრობის ხელში.

— ამ შემთხვევაში კვლავ გვექნება ისეთივე მდგომარეობა, რომელიც ამჟამად არის, ანუ გვექნება აღმასრულებელი ხელისუფლება გაუყოფელი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, როდესაც ვერ გაიგებ, ვინ არის უფროსი და ვინ არის უმცროსი. ასე რომ კარგად უნდა დავფიქრდეთ, სანამ ასეთ რამეს გავაკეთებთ, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მისივე თქმით, იმპიჩმენტის პროცედურა საკმაოდ რთულია.

— ჯერ უნდა დაიწეროს ბრალდება, მას ხელი უნდა მოაწერონ პარლამენტის წევრებმა, შემდგომ ეს ბრალდება დარეგისტრირდეს პარლამენტში, შემდგომ უნდა გადაიგზავნოს სასამართლოში. მე არ ვიცი გია ჟორჟოლიანი რა საფუძვლით ცდილობს იმპიჩმენტის აღძვრას, ეს არის კონსტიტუციის დარღვევა თუ დანაშაულის ნიშნების არსებობა. თუ ორივე იქნა, ორივე, შესაბამის სასამართლოებში, უზენაესსა და საკონსტიტუციოში უნდა გადაიგზავნოს. შემდგომ ამ სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ ამის თაობაზე და განსახილველად ვადა საკმაოდ დიდი აქვთ. თუ სასამართლო დაადასტურებს, შემდგომ პარლამენტში უნდა დაიწყოს საკითხის განხილვა, განხილვის შემდეგ უნდა შედგეს კენჭისყრა და თუ 100 წევრი ან მეტი დაუჭერს მხარს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას, მაშინ შედგება თანამდებობიდან გადაყენება. შესაძლებელია, რომ ეს პრეზიდენტის არჩევნებამდე ვერც მოესწროს. ამასთან, „ქართულ ოცნებას“ 100 მხარდამჭერი პარლამენტში და 100 ხმა არ აქვთ, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.



პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე განცხადება პარლამენტის წევრმა გია ჟორჟოლიანმა გააკეთა. მისი თქმით, ის დაიწყებს მუშაობას, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს.

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ბიძინას წასვლა ის სიტუაცია მგონია, ვიღაც ტიპ(ებ)ის „მოტეხვა“ რო გინდა და იტყუები, გასასვლელი ვარ — წამო ერთად გავიდეთო. გაუშვებ და მობრუნდები.

● სად მიდიხარ? და შენი ხათრით ვინც ხელისუფლებაში მოვიყვანეთ იმათ გვიტოვებ ხელისუფლებაში? არ გამოვა ეგრე... სამ ვიბირაი კოლორი, სამ კრას.

● უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც 9 წლის მანძილზე, გაუსაძლის ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა საააკაშვილს, მერაბიშვილს და სხვა პოლიტ-კოლჩორიტებს!

● დავიჯერო „კიდევ სცადეთ“ არც ერთ კასრს არ ეწერა?

● ახლა წარმოვიდგინე ასეთი მოდელირება: ნიურნბერგის პროცესი არ ჩატარდა.

ის კი არადა, გერინგი, გებელსი, რიბენტროპი, შპეერი, როზენბერგი, შახტი დაკავებით კი დააკავეს, მაგრამ სასამართლომ გირაოთი გამოუშვა. ბორმანმა ოჯახთან ერთად საიდუმლო ბუდე მოიწყო არგენტინაში და გერმანელ ხალხს წერილებს წერს.

ჰიმლერი, კალტენბრუნერი და ჰაიდრიხი გაქცეული არიან სადღაც.

კეიტელმა ბიზნესი წამოიწყო ისრაელში...

რაც მთავარია, ჰიტლერი განუწყვეტლივ მოგზაურობს სამხრეთ ამერიკაში, საუდის არაბეთში, იაპონიაში (რა თქმა უნდა იაპონიაც არ დაუბომბია არავის), ჩინეთში და შვეიცარიაში (მონტროში ისვენებს ზამთარში და ლოზანაში — ზაფხულში) და წუხს, რომ მისი მმართველობის ბოლო წლებში ჰინდენბურგიდან გადმოყოლილმა და შემოპარულმა ვიღაც ორმა ტიპმა, რომელთაც არც იცნობდა პირადად — ვინმე მიულერმა და ვინმე ახმანმა, ცოტა ჩირქი მოსცხეს რაიხს, დაახლოებით 6 მილიონი ებრაელისთვის არასათანადო სამუშაო პირობების შექმნით, რის გამოც ეს უკანასკნელნი სხვადასხვა დაავადებებით გარდაიცვალნენ. ჰიტლერი ძალზე წუხს, რომ ეს ორი ნაძირალა დროზე ვერ გაშიფრა და მოითხოვს მათ დაკავებას და სასტიკად გასამართლებას.




საღამოობით, გერინგი, გებელსი და რიბენტროპი „დოიჩე ველეს“ თოქ-შოუებში გამოდიან და ადენაუერის ხელისუფლებას სასტიკად აკრიტიკებენ უმუშევრობის ზრდისა და გერმანელი ერის იმედების გაცრუების გამო. შპეერი და შახტი გერმანული ეკონომიკის და მარკის მოახლოებულ კრახზე ლაპარაკობენ. შპეერმა თავისუფალი უნივერსიტეტი დააარსა და ლოზუნგად ნაცნობი ფრაზა შეინარჩუნა — Arbeit Macht Frei ...

● კონკურსი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ექსპერტების ვარაუდით წლის საუკეთესო ბოდიშს საააკაშვილი მოიხდის.

● „იმედის“ ეზოში „რუსთავი 2“-ის კასრი აღმოაჩინეს.

● ჩემი მოკრძალებული აზრი მინდა გამოვთქვა ერთ მძიმე საკითხზე. თუ ბიძინა მართლა წავა — მიშას წასვლიდან სულ ცოტა ხანში — ჩემი აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ მიშა შეიძლება მართლაც წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე, მაგრამ ციხეში არ ჩასვამენ... და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი, აღარასოდეს გაიხსნება ჟვანიას მკვლელობის საქმე, რადგან ეს უშუალოდ უკავშირდება მიშას ციხეში ჩასმას... ბიძინა იმას არ იკადრებს, რომ თავისი დანაპირები, ჟვანიას საქმე გაიხსნება და ყველა თანაბრად დაისჯება, მათ შორის პრეზიდენტიცო, უკან წაიღოს... ამიტომ უჯობს, პოლიტიკიდან გვერდზე გადგეს და ასე დააკვირდეს მოვლენების განვითარებას. სიტყვის კაცადაც დარჩება და ამერიკელ „მამებსაც“ ბოლომდე „გაუსწორებს“, ანუ მიშას ციხე ასცდება.

არ არსებობს ბიძინას გარდა არც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც ჭეშმარიტად აღადგენს სამართალს და ნებისმიერ „უცხოურ“ ზეწოლას გაუძლებს... ასეთი ბიძინა არის და მასაც კი გაუჭირდა და წასვლაზე კიდევ ერთხელ დაფიქრდა... იმედი მაქვს, ის ამას გადაიფიქრებს.

● ჟურნალისტები ხელისუფლებას მოვალეობის შესრულებას მოსთხოვენ. და ჟურნალისტებს მოვალეობის შესრულება რომ მოვთხოვოთ და გავცოცხოთ ჯიბის ჟურნალისტები ანუ ყანა ჟურნალისტები, გამოვმარგლოთ — არა?

● ამდენი მტკიცებულების შემდეგ, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო სისხლიანი რეჟიმი და ამის შემდეგ თუ ვინმე უჭერს მხარს და ამართლებს მათ, ის ან ავადმყოფია, ან მასაც მიუძღვის წვლილი რაღაცა უმსგავსობაში.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

კრიმინალური ქრონიკა

## კუდის ყოფილი თანამშრომელი ვიდეომასალებისა და სამალავების შესახებ ალაპარაკდა

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი თემურ კენკებაშვილი ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული არქივის ასლები დეპარტამენტიდან კუდ-ის დირექტორმა ვაჟა ლელუაშვილმა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა გიორგი დგებუაძემ და „მოდულის“ შენობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა ზურაბ თუთბერიძემ გაიტანეს.**

**ამასთან დაკავშირებით თემურ კენკებაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი ინფორმაციით, არქივის ასლები საპარლამენტო არჩევნების გამართვიდან რამდენიმე დღეში გაიტანეს.**

**— შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული არქივი არის კონკრეტული პირების პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების შემცველიც. ის უნდა განადგურდეს მას შემდეგ, რაც გამოძიება მოხდება. არჩევნების შემდეგ, მე მივედი დეპარტამენტში, სადაც სრული ქაოსი იყო. ყველა აკეთებდა ამ არქივის ასლებს. თანამშრომლებმა იციან ზუსტად ვინ და როგორ გაიტანა ასლები. ეს იყო დაახლოებით 3-4 ოქტომბერი. ასლები გაიტანეს კუდ-ის დირექტორმა ვაჟა ლელუაშვილმა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი დგებუაძემ, ე.წ. „მასტერამ“ და „მოდულის“ შენობის სამსახურის უფროსმა ზურაბ თუთბერიძემ. ზუსტად ვიცი, ამის მომსწრე მე თვითონ ვარ. სხვებმა გაიტანეს თუ არა ამაზე ვერაფერს ვიტყვი. განადგურების შემთხვევაში, პირობა იმისა, რომ ეს კომპრომატები აღარ გამოიყენება, არ არსებობს, —აცხადებს კენკებაშვილი.**

**მისივე თქმით, გიორგი დგებუაძემ დათა ახალაიას მოთხოვნით გაიტანა ასლები.**

**კენკებაშვილი ამბობს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მან შს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს დანიშვნიდან ორ კვირაში მიაწოდა. კენკებაშვილის თქმით, ჩანაწერების გაკეთება და კომპრომატების არქივის შექმნა კონკრეტულად ვაჟა ლელუაშვილის იდეა იყო.**

**იგი სამალავების თემასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სამალავები 2012 წლის აპრილ-მაისში გაკეთდა. მისივე თქმით, მსგავსი სამალავები რამდენიმე ადგილას გაკეთდა და ერთ-ერთი სამალავი, სავარაუდოდ, ქვემო ქართლშიც არის.**

## მერაბიშვილმა დათა ახალაიას მიანდო სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება, საიდანაც მოდის ბევრი ეჭვი

**ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა იუსტიციის სამინისტროში ჟურნალისტებს განუცხადა.**

**მისი თქმით, არა მხოლოდ გირგვლიანის საქმეზე გასული წლის ოქტომბრიდან განახლებული გამოძიების პროცესში, არამედ სტრასბურგში წარდგენილი დოკუმენტებიდანაც იკვეთება საკმაოდ მაღალი ხარისხის ალბათობა, რომ მერაბიშვილს შეეძლო, გარკვეული ტიპის უკანონო მიმართულება მიეცა გირგვლიანის საქმის გამოძიებისთვის.**

**— ჯერ კიდევ სტრასბურგის მხრიდან საქმის განხილვისას გამოიკვეთა ფაქტი — მიუხედავად იმისა, რომ „შარდენის ბარში“ მაგიდასთან ისხდნენ ის პირები, ვინც ისხდნენ, ვანო მერაბიშვილმა დაუშვა ის ფაქტი, რომელსაც ვერავინ უარყოფს და გამოძიება 2006 წლის მარტიდან დათა ახალაიას მიანდო. ახალაია კი ამავე დროს იყო სუფრის წევრი. აქედან გამომდინარეობს ყველა ეჭვი, რომელიც წარმოდგენილია ბრალის დადგენილებაში. დარწმუნებული ვარ, ბრალდების მხარეს სათანადო მტკიცებულებები აქვს. ახლა საჭიროა, დაცვამ შეაგროვოს მტკიცებულებები და მერე სასამართლო გადაწყვეტს რომელი მხარეა მართალი, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

**მან განმარტა, რომ დღეს პროკურატურა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას და იუსტიციის მინისტრს მასში ჩარევა ეკრძალება.**

**წულუკიანის თქმით, ვანო მერაბიშვილის ბრალზე კომენტარი იქიდან გამომდინარე გააკეთა, რომ ახალი კანონი, რითაც იუსტიციის სამინისტრო პროკურატურას ემიჯნება, ორი დღის წინ არ მოქმედებდა, რა დროსაც ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### დამალობანას თამაში

# სააკაშვილი – კასრზე და კასრში



**მიხეილ სააკაშვილი** აცხადებს, რომ სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავი მისი დავალებით შეიქმნა. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებს გორში განუცხადა. მისი თქმით, სამალავების გაკეთება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად მოხდა.

**— ნებართვა მაქვს მიცემული, გაგვეკეთებინა ეს იმიტომ, რომ ხელახალი აგრესიის განახლების პირობებში ჩვენ არ უნდა ვყოფილიყავით ისეთი დაუცველი, როგორც ჩვენი ინფრასტრუქტურა 2008 წელს იყო, მიუხედავად ჩვენი ჯარის გმირული წინააღმდეგობისა. ამიტომ თავისთავად იარაღის საწყობები რომ კეთდებოდა, ამაში ახალი არაფერია არც ჩემთვის, არც ახალი მთავრობისთვის. იარაღის საწყობებში რომ ვიდეოკადრები არ იყო, მე მგონი, ყველა ვხვდებით. რაც შეეხება „კაგებეს“ მეთოდებს, ეს სხვა თემაა, მაგრამ თუ ვინმეს ხელი წაუცდა კრიმინალზე, უნდა დაისაჯოს,** — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი უარყოფს, რომ ასეთი ფაქტები მასობრივად ხდებოდა. მისი თქმით, პოლიციაში ათასჯერ უკეთესი სიტუაცია იყო, ვიდრე ოდესმე.

**— ალბათ, ვიღაცას წაუცდა ხელი და ყველა ვერ დავსაჯეთ. ყველა მთავრობაში შეიძლება აღმოჩნდნენ ასეთი არამზადები. მთავარია, რომ დროზე მოხდეს გამოვლენა და დასჯა,** — დასძინა სააკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ, როდესაც ერთი კვირის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, მაშინ და მას შემდეგაც რამდენიმე დღის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მზად არიან გამოძიებასთან ითანამშრომლონ და ყველა, ვისაც კი სამეგრელოში ნაპოვნი ვიდეოჩანაწერების დამზადებაში ბრალი მიუძღვის, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. რაც შეეხება იარაღს, ნაციონალების განცხადებით, ამ იარაღის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროვებით მმართველმა გუნდმა სახელმწიფო საიდუმლოება გაამხილა.

შეგახსენებთ, სამეგრელოს სამალავის აღმოჩენის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ასალანიამ გააკეთა განცხადება, რომ სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღი თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არ ირიცხება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით კი, შსს-ს მიერ სამეგრელოში აღმოჩენილი საიდუმლო საცავი სამართალდაცავი უწყების დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ნუსხაში არ იყო.

კერძოდ, მინისტრის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონიერი საიდუმლო საცავების შესახებ საჯარო კომენტარის გაკეთებას არ აპირებდა, რადგან აღნიშნული ობიექტები სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, თუმცა, მას შემდეგ, რაც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ საკითხზე ცრუ ინფორმაციები გაავრცელეს, იგი ვალდებულია, განმარტება გააკეთოს.

სამეგრელოს სამალავის თემაზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ამბობს, რომ სამალავებთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებები შესაძლოა, ბრალის ირიბ აღიარებად იქნას აღქმული. ნარჩემაშვილი მიიჩნევს, რომ შსს-ს მიერ ბოლო დროს აღმოჩენილი სამალავები უკანასკნელი არ არის. მისი ვარაუდით, ასეთები კიდევ აღმოჩნდება.

**— მე მქონდა ინფორმაცია, რომ არსებობდა მსხვილი საბაზისო სამალავი, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ადგილებში გაიშალა. ასეთი საბაზო სამალავი იყო აჭარის რეგიონში, რადგან აჭარა მეტ-ნაკლებად გარესაფრთხეებისგან დაცული იყო. სწორედ აქედან მოხდა მერე გადანაწილება სხვადასხვა ადგილებზე,** — აცხადებს ნარჩემაშვილი.

მისი თქმით, სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავი პირველი ოქტომბრის შემდეგ შეიქმნა, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განიცადა მარცხი, რადგან თვლიდნენ, რომ მათი მაკომპრომეტირებელი მასალა იქ უფრო დაცული იქნებოდა. ნარჩემაშვილი ასევე განმარტავს, რომ მსგავსი სამალავები მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ საფუძველზე უნდა შეიქმნას და ამის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა არსებობდეს.

იგივეს ამბობს სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი. მისი თქმით, შეიარაღება იმით გამოირჩევა, რომ თითოეულ იარაღს გააჩნია კონკრეტული ნომერი, რომლის მეშვეობითაც ადვილად შეიძლება იმის დადგენა, თუ სად და როდის დამზადდა ეს იარაღი, ვისზე განაწილდა და ვის განკარგულებაში იყო ბოლომდე. ალადაშვილის განმარტებით, თუკი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ამბობენ, რომ სამეგრელოში ნაპოვნი იარაღი მათ უწყებების ბალანსზე არ ირიცხება, მაშინ ეს ბევრ ეჭვს აღძრავს, რადგან აღურიცხავი იარაღი შეიძლება არაკანონიერი ქმედებებისთვის იქნეს გამოყენებული იმ წინასწარი განზრახვით, რომ გამოძიება შემდეგ ამ იარაღის წარმომავლობას ვერ დაადგენს.

**— პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია და მას ბევრი რამის უფლება აქვს, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ნორმალურ ქვეყანაში აუცილებლად უნდა ხდებოდეს უშიშროების საბჭოზე, რომელსაც დაესწრებიან მისი მუდმივი წევრები და უნდა არსებობდეს ამის ჩანაწერი. მინდა, გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ ასეთი დოკუმენტი აუცილებლად უნდა არსებობდეს,** — აცხადებს ირაკლი ალადაშვილი.

მისი თქმით, მსგავსი დოკუმენტი აუცილებლად საიდუმლო იქნება, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტი ამგვარ განცხადებებს აკეთებს, უმჯობესი იქნებოდა ამ დოკუმენტის გასაიდუმლოება მომხდარიყო, რაც შექმნიდა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის იყო გაკეთებული.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, თეონა აქუბარდია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის განცხადება (რომ იარაღის სამალავები მისი დავალებით შეიქმნა), თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრების განცხადებებს ეწინააღმდეგება. კერძოდ, აქუბარდია გულისხმობს მინისტრების იმ განცხადებებს, როდესაც მათ თქვეს, რომ იარაღის სამალავების ნუსხა გააჩნიათ, მაგრამ სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავი ამ სიაში არ არის. აქუბარდიას განმარტებით, როდესაც საუბარია იარაღის რეზერვზე, ასეთი სამალავები მხოლოდ სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე არ კეთდება და შესაბამის სამართლებრივ რეგულაციაში ექცევა.

**— ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში არის იარაღის წარმომავლობა. ნებისმიერ იარაღს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ყიდულობს. რა თქმა უნდა, ეს არის საიდუმლო რიგითი მოქალაქეებისთვის, მაგრამ იარაღი რომელიმე სახელმწიფო უწყების ბალანსზე უნდა აღირიცხოს, ხოლო, როდესაც ეს ასე არ არის, ჩნდება ეჭვი, ის შავ ბაზარზე ხომ არ არის ნაყიდი, რა თანხებით მოხდა მისი შეძენა და რაც მთავარია, რა მიზნით იქნა ეს იარაღი შეძენილი და დასაწყობებული,** — ამბობს თეონა აქუბარდია.

მისი თქმით, თუკი სააკაშვილი სიმართლეს ამბობს და სახელმწიფომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვიტა იარაღის სამალავების შექმნა, მაშინ ისმის კითხვა, რატომ არ აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია ძალოვან მინისტრებს. აქუბარდია ამბობს, რომ ვინაიდან ეს ინფორმაცია თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ამიტომ აბსოლუტურად გაუმართლებელია პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სამალავი მისი დავალებით შეიქმნა. ექსპერტი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, პრეზიდენტმა თავის მინისტრთა კაბინეტს მართლაც მისცა რაიმე ამგვარი დავალება, მაგრამ ეს ლეგალურ ჩარჩოებში არ მომხდარა. ამიტომ თეონა აქუბარდია ამბობს, რომ გაურკვეველია, რა მიზნები ჰქონდა ამ დროს პრეზიდენტს და შესაძლებელია ეს იარაღები არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, არამედ რაიმე სულ სხვა მიზნისთვის ყოფილიყო გამოყენებული.

For.ge შეეცადა გაერკვია, არსებობს თუ არა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდა იარაღის სამეგრელოში დასაწყობება. ამისთვის მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდით პრეზიდენტის პრესმდივან მანანა მანჯგალაძესთან დაკავშირებას, თუმცა, მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა მიუხედავად იმისა, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებითაც ვამცნეთ ვინ ვიყავით და რა გვაინტერესებდა. ასევე ვეცადეთ ინფორმაციის მიღებას უშიშროების ეროვნული საბჭოდან, რომლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განგვიმარტა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და მის გარეშე კომენტარს ვერ გააკეთებდა.

**რუსუდან უშიკიშვილი**

### დღევანდელობის კვალდაკვალ

#### მთავარი პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო განქორწინდნენ

**გუშინდლიდან** საქართველოს მთავარი პროკურატურა იუსტიციის სამინისტროსგან პოლიტიკურად დამოუკიდებელია და ყველა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი მთავარი პროკურორია , —ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა იუსტიციის სამინისტროში ჟურნალისტებს განუცხადა.

იუსტიციის მინისტრი აღარ არის საქართველოს პროკურორი, შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობაში ჩარევის უფლება ეკრძალება.

— მთელი საპროკურორო უფლებამოსილებები სრული მოცულობით გადაეცა მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს, რომელიც მთლიანად იქნება პასუხისმგებელი იმ დანიშვნებზე და გადანიშვნებზე, რომელიც მან 15 დღის ვადაში უნდა დაასრულოს თავისი პირველი მოადგილის, მოადგილეების, ასევე რაიონული თუ ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მიმართულებით. მთავარი პროკურორი სრულად აგებს პასუხს ყველა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც პროკურატურაში მიმდინარეობს და აღიძვრება მომავალში. ახალი კანონით, იუსტიციის მინისტრს ეკრძალება ჩაერიოს რომელიმე სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაში. ახალი კანონის საფუძველზე, ჩვენ გვეძლევა ორთვიანი ვადა, მივიღოთ კანონქვემდებარე აქტები. ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ცვლილება ის იქნება, რომ იუსტიციის სამინისტორს გენინსპექცია ორად გაიყოფა — მთავარ პროკურატურაში უნდა შეიქმნას ახალი გენინსპექცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროკურორების საქმიანობის კონტროლზე და საჭიროების შემთხვევაში, დასჯაზეც, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, იუსტიციის მინისტრის აქამდე არსებული უფლებამოსილება — საქართველოს პრეზიდენტის, ელჩის, პარლამენტის წევრის, შეიარაღებული მაღალჩინოსნების, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სხვა მაღალჩინოსნების დაკავებისა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ, სრული მასშტაბით გადავიდა მთავარ პროკურორზე.

#### კახა კალაძე: არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს

**საქართველოს** ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ამის შესახებ კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

კითხვაზე, სანდრო გირგვლიანის საქმეზე უნდა დაიკითხოს თუ არა მიხეილ სააკაშვილი და უნდა მოხდეს თუ არა მისი პასუხისმგებლობაში მიცემა, კახა კალაძემ უპასუხა — „დაველოდოთ გამოძიებას“.

„რა თქმა უნდა, ბევრი კითხვა არსებობს ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ბატონ სააკაშვილთან მიმართებაში. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს უახლოეს მომავალში, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, დაველოდოთ გამოძიებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

#### საქართველოსა და უკრაინას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამი დოკუმენტი გაფორმდა

**საქართველო-უკრაინის** ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესახებ სამი დოკუმენტი გაფორმდა. საქართველოსა და უკრაინის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ მოაწერა, ხოლო უკრაინის მხრიდან ვიცე-პრემირმა ალექსანდრე ვილკულმა.

ასევე, გაფორმდა შეთანხმება ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ კახაბერ საკანდელიძემ და უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ტკაჩევმა მოაწერეს. რაც შეეხება მესამე შეთანხმებას, ის საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოებს შორის გაფორმდა და ინვესტიციებისა და ეროვნული პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი საინვესტიციო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ მაგდა ბოლოთაშვილმა და უკრაინის მხრიდან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ ილია შევლიაკმა მოაწერეს.

#### 3 მილიონი სასკოლო სახელმძღვანელო უკვე დაბეჭდილია

**საჯარო** სკოლებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრესსამსახურის ცნობით, მინისტრი გიორგი მარგველაშვილი წიგნების გადაცემის პროცესს თბილისის 53-ე საჯარო სკოლაში გაეცნო.

წელს პირველად, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე სახელმწიფოსაგან სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს. სექტემბერში მოსწავლეებს წიგნები საკუთარ სკოლებში დახვდებათ. ამ ეტაპზე სამი მილიონი (60%) სასკოლო სახელმძღვანელოა უკვე დაბეჭდილი. საქართველოს მასშტაბით სახელმძღვანელოების დარიგების პროცესი 18 ივნისს დაიწყო. სახელმძღვანელოთა 50% ზესტაფონის, ქობულეთის, აბაშის, გარდაბნის და მცხეთის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებს უკვე გადაეცათ. სახელმძღვანელოთა საჭირო რაოდენობის 50-50% გადაეცა თბილისის 44 საჯარო სკოლას.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**_სამეგრელოში აღმოჩენილი კადრების გავრცელების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ სახეებმა დამნაშავეების დასჯის აუცილებლობაზე დაიწყეს ლაპარაკი. პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ მის მთავრობაში „ვიღაცები შეიპარნენ“ და დანაშაული ჩაიდინეს, ასახელებს კონკრეტულ გვარებსაც. პრეზიდენტის პოზიციას ეთანხმება პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაიაც. როგორც ჩანს, ნაციონალთა ლიდერები თავადვე ცდილობენ, პროცესს გაემიჯნონ და შემაძრწუნებელ დანაშაულზე პასუხისმგებლად კონკრეტული ადამიანები გამოკვეთონ._**



**_იხსნის და დაეხმარება თუ არა ეს მანევრი „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, პოლიტიკურ ასპარეზზე კვლავ გააგრძელოს ცხოვრება? რა პროცესი შეიძლება დაიწყოს პარტიაში და რა პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა ყოფილი ხელისუფლება ამ მასალების აღმოჩენისა და გავრცელების შემდეგ? — ამ თემაზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება._**

# ნაცმოძრაობის ჯანსაღი ნაწილი უნდა გამოიყოს სადისტური ნაწილისაგან



**— ბატონო სოსო, თქვენი შეფასებით, ყოფილ მმართველ პარტიაში უკვე დაიწყო დანაშაულის ერთმანეთისთვის გადაბრალების პროცესი, ეს ნიშნავს, რომ კვლავაც თავის დახსნას ცდილობენ რთული სიტუაციიდან, როგორც არაერთხელ მომხდარა?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური პერსპექტივა არც ჰქონდა და არცა აქვს.. თუ რომელიმე ახალბედა პოლიტიკოსს სურს, საკუთარი თავი იხილოს სერიოზული პოლიტიკური პროცესების მონაწილედ, რასაკვირველია, დროულად და ყოველგვარი პრანჭვის გარეშე, უნდა განერიდოს ორგანიზაციას, რომელსაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, უკვე აღიქმება როგორც ნაციონალურ-სადისტური მოძრაობა.

ახალი თაობის ნაციონალები, რომლებიც არ არიან გარეული სადისტურ ქმედებებში, რაც უფრო ჩქარა გაემიჯნებიან არა მხოლოდ სათაურს ამ ორგანიზაციისა, არამედ მათ სახეებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული, თუნდაც, დღევანდელ პარლამენტში, შეიძლება, რაიმე ტიპის საინტერესო პოლიტიკურ ერთობადაც მოგვევლინონ.

თუ საუბარი იქნება მხოლოდ დაპატიმრებულ ნაციონალურ ლიდერებთან გამიჯვნაზე, ეს არანაირ პოზიტიურ შედეგს არ მოუტანს არც ამ გზააბნეულ პოლიტიკოსებს და არც მთლიანად სახელმწიფოს.

ამდენად, თუ პოლიტიკური ნება რეალურად აქვთ უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების წინ ნაციონალების სიაში მოხვედრილ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, მაშინ, მათ ეს უახლოეს დღეებში უნდა დააფიქსირონ, რადგან პრაქტიკულად, ანდაზა, რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის მიმართ ძალიან მკაცრი - როდესაც ის ჯერ კიდევ ხუთშაბათს აცხადებდა, რომ არ იცნობდა დასახელებულ დამნაშავეებს, იმ საზიზღარი კადრების ავტორებს, პარასკევს კი, უკვე ქვეყნდება ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, დიახ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი შესანიშნავ საკურორტო ზონაში აჩუქა ერთ-ერთ დასახელებულ არამზადას.

საუბარი იმაზე, რომ არ იცის, ვინ არის, ან როდის შეიპარა მის ნაციონალურ „ბაღნარში“ ეს „არამზადა“ მორიგი ტყუილია. ეს თემა, რასაკვირველია, ითარგმნება, გავრცელდება და ბევრ ისეთ პოლიტიკოსსაც შერცხვება, რომელსაც საქართველოს მიმართ არაერთი ზერელედ ნატყორცნი ფრაზა უკან დაუბრუნდება. ვგულისხმობ როგორც ევროპელ, ასევე ზოგიერთ ამერიკელ პოლიტიკოსსაც.

ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქმევა და სჯობს, ამ საკუთარი სახელის დარქმევის პროცესში, თუ ვინმეს არ აქვს ფარული ვალდებულება ამ სადისტური მოძრაობის მიმართ, დროულად აღმოჩნდეს მშრალზე გასული, რომ არ ჩაიძიროს იმ ჭაობში, რომელშიც შეიძლება მისი ადგილი არც კი იყოს ობიექტურად.

**— სააკაშვილის განცხადებებიდან, რომ თურმე ვიღაცები შეიპარნენ მის მთავრობაში და ასეთი სისასტიკე ჩაიდინეს და, რომ დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ, პირდაპირ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ნაციონალებს კი არა, თავად სააკაშვილს სურს ამ პროცესისგან გამიჯვნა. როგორ ფიქრობთ, გამოუვა?**

— ამას სააკაშვილი აცხადებდა ზოგიერთი ამერიკელი კონგრესმენის გასაგონად და არა საქართველოს მოსახლეობის მოსატყუებლად, რომელსაც ამ სიცრუის აღარ სჯერა.

ის ფაქტი, რომ ორივე დასახელებული სადისტი მის მიერ ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული და დასაჩუქრებული სერიოზული ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთით, ბევრ რამეზე მეტყველებს და ამ თემის ირგვლივ მსჯელობას, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ხელისუფლება მოახერხებს.

იმედი მაქვს, დღევანდელი ხელისუფლება ამ ვიდეომასალის იდენტურობის დამტკიცებასაც არა საკუთარი, არამედ საერთაშორისო საექსპერტო პოტენციალის გამოყენებით აუცილებლად შეძლებს და შემდეგ, ზოგიერთ ამერიკელ კონგრესმენს შესთავაზებს, შეინახოს ეს ფილმები საკუთარ ფეისბუქში და დილაობით უყუროს ხოლმე, რათა მოინანიოს საკუთარი გამონათქვამები დღევანდელი საქართველოს მიმართ.

**— ერთადერთი სიძლიერე, რასაც სააკაშვილი დღემდე ეყრდნობა, ეს დასავლეთია, როგორ ფიქრობთ, ამ კადრების გამოაშკარავება ჩამოხსნის თუ არა ნიღაბს მის იმიჯს ქვეყნის გარეთაც?**

— რასაკვირველია, ერთხელ და სამუდამოდ ეს ასე იქნება. გარდა ამისა, საკმარისია, აიკრიფოს გარკვეული დოკუმენტური კადრების კრიალოსანი, სადაც სანახაობის შემყურე დიპლომატიური კორპუსის გაოგნებული სახეების დანახვა შეიძლება — გაოგნებული, მზერაგაყინული, დამუნჯებული ადამიანები როგორ ტოვებენ შს სამინისტროს — ამ განწყობის შეცვლა, თუნდაც რაიმე დავალებით მათი ხელმძღვანელობისგან (რაც თავისთავად, გამორიცხულია), ნამდვილად შეუძლებელია.

**— როდესაც „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ვსაუბრობდით, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, იგულისხმებოდა ერთი ადამიანი, მიხეილ სააკაშვილი - ის იყო ამ პარტიის ძირითადი სახე, მთავარი მამოძრავებელი და გადაწყვეტილების მიმღები. თუ ამ კადრების ჩვენების შემდეგ ის ახალგაზრდა თაობა, ვისაც დანაშაულებრივ საქმიანობაში ბრალი არ მიუძღვის, გაემიჯნება პროცესს, რაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პარტიის თუ კონკრეტული პოლიტიკოსების გადარჩენაზე?**

— პარტიის გადარჩენაზე, ვფიქრობ, ოცნება უპერსპექტივოა, ამ სახელის შენარჩუნება უკვე სამუდამო დამღაა ამ პოლიტიკოსებისთვის. ჯგუფი საკმაოდ ნიჭიერი, პერსპექტიული ადამიანებისა, შესაძლოა, დროთა განმავლობაში, პოლიტიკისთვის საინტერესო აღმოჩნდეს, მაგრამ ვფიქრობ, ყველას ასეთი საშუალება არ ექნება, რადგან ზოგმა იმდენად გადააჭარბა საკუთარ ვალდებულებებს, რომ შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი იმიჯი, რომელიც არანაკლებ მიუღებელია საზოგადოებისათვის - გამომდინარე იქიდან, ვის რა თანამდებობა ეკავა ამ პარტიაში გააქტიურებამდე.

ვგულისხმობ, თუნდაც პროკურორ საყვარელიძეს, რომელმაც რეალურად, ვაჟკაცური შემართებით გადაწყვიტა, რომ გამხდარიყო ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედი პროკურორი და მოინდომა „ნაციონალური მოძრაობის“ ადვოკატობა, მაგრამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მის მიერ გარჩეული საკითხები მძიმე ტვირთად დააწვება და მარტივად არ მისცემს საშუალებას იყელყელაოს ახალ პოლიტიკურ რეალობაში.

**— როგორც ცნობილია, იგივე საყვარელიძის, ბოკერიას, უგულავას და „ნაციონალური მოძრაობის“ წამყვანი სახეების მიმართ შესაძლოა, დაიწყოს გამოძიების ახალი ეტაპი, დააკავონ კიდეც ისინი. ამ კადრების ნახვის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, დასავლეთი ისევ ეჭვის თვალით დააკვირდება პროცესებს და დასვამს კითხვას, ხომ არ ხდება პოლიტიკური დევნაო?**

**იქნება თუ არა შესაძლებლობა, რეალურად დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის ის პროცესი, რასაც საზოგადოება ელოდებოდა?**

— შევეცადოთ, არსაითისკენ მიმართული ტერმინი, „სამართლიანობის აღდგენა“, შევცვალოთ რეალური დატვირთვის მქონე ტერმინით - „სამართლიანობის დამკვიდრებით“, რადგან აღსადგენი სტანდარტი ჩვენი სამართლისა, უახლოეს საუკუნეებში არ მოიძებნება. სამართლიანობის დამკვიდრება ქვეყანაში საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ ამ თაობამ, განურჩევლად ასაკისა, ამას საძირკველი მაინც უნდა ჩაუყაროს.

**— რაც შეეხება ნაციონალური „თანავარსკვლავედის“ პასუხისმგებლობის საკითხის დადგომას, იქნება თუ არა ეს საზოგადოებისთვის ის აუცილებელი პირობა, რომ სამართლიანობის დადგომა იგრძნოს?**

— ეს აუცილებელი პირობაა სამართლიანობის დამკვიდრებისთვის, რადგან ამ პროცესების პარალელურად არის საფრთხე, ზოგიერთმა სახელმწიფო ინსტიტუტმა ვერ გააცნობიეროს, რა ცვლილებებია საჭირო იმისათვის, რომ დამკვიდრდეს სამართლიანობა და მარტივად მოირგოს ის სტანდარტები, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ამიტომ, აუცილებელია, დამნაშავეების პასუხისმგებლობა დადგეს, მაგრამ არასაკმარისია ამით დაკმაყოფილება. მთავარია, არ დავუშვათ რაიმე ანალოგიური ქმედებები დღევანდელი ხელისუფლების პირობებში.

**— ანუ, არსებობს საფრთხე, რომ დაკავებების პროცესი საქმის გასამარტივებლად წინა ხელისუფლების სცენარით წარიმართოს?**

— არსებობს საფრთხე, რომ წინა ხელისუფლების ზოგიერთი მავნე მაგალითი, მიმზიდველი აღმოჩნდეს ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის. ზოგადი ხასიათის ასეთი საფრთხე, არსებობს და ცხადია, არც საქართველოშია გამორიცხული. ამისი პრევენცია უნდა მოხდეს და ასეთი სიმახინჯის პირველივე გამოვლინებები, მკაცრად უნდა აღიკვეთოს. არანაკლები სიმკაცრით, როგორც უნდა აღიკვეთოს იმ დამნაშავეთა პარპაში, რომლებიც დღესაც თავისი პოლიტიკური კარიერის ეფემერულ პერსპექტივებზე ფიქრობენ.

**— ასეთ ფონზე რა იქნება ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც პარტია წარსულს ჩაბარდება?**

— დროა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ ჰიმნად აირჩიოს არია „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“ და ტექსტი დასრულდეს ტერმინით, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ამის შემდეგ ადამიანებს, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას, ემიჯნებიან სადიზმს, ექნებათ შესაძლებლობა, დაიწყონ ახალი პოლიტიკური ცხოვრება. მათგან რაიმე ქმედებების გაგრძელება იქნება შედეგი და კიდევ უფრო მტკივნეული ამ ადამიანებისთვის.

„ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ისეთი ერთგვაროვანი სისტემა, რომელსაც არა აქვს შესაბამისი ინტელექტუალური ან ორგანიზაციული პოტენციალი. უნდა გაიყოს მისი ჯანსაღი ნაწილი სადისტური ნაწილისგან და ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ რაიმე პერსპექტივაზე, მაგრამ ცხადია, არა „ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრის სტატუსით.

**— სხვადასხვა გამოკითხვებიდანაც ჩანს, რომ საპარლამენტო უმცირესობა საკმაოდ აღიზიანებს საზოგადოებას. როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოხდეს?**

— ვფიქრობ, არა მხოლოდ საპარლამენტო ცხოვრება, არამედ სასამართლო სისტემაში, ადგილობრივ მმართველობაში არსებული ვითარება, იძულებულს ხდის დღევანდელ პარლამენტს, რომ დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ერთი ოპოზიციონერი მაინც აღმოჩნდეს პარლამენტში. დღეს ვართ იმ მახინჯი ფორმის მოწმენი, როდესაც პარლამენტში არის ორი ხელისუფლება და არც ერთი ოპოზიციონერი.

„ნაციონალური მოძრაობა“ დღესაც იმდენ ბერკეტს ფლობს, სახელისუფლებო არსენალიდან, რომლის მსგავსიც არც ერთ ქვეყანაში არც ერთ ოპოზიციას არ გააჩნია. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა შედეგმა, რაც დადგა იუსტიციის საბჭოს არჩევნებზე. არანაირი სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი არ იქნება წარმატებული, თუ საზოგადოების განწყობა ადეკვატურად არ აისახება პარლამენტის შემადგენლობაში.

ამიტომ, დროა, ვიფიქროთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე, მრავალპარტიულ პარლამენტზე. აზრთა სხვადასხვაობისთვის პარლამენტის ტრიბუნა უნდა იყოს მზად, მაგრამ ვგულისხმობ არა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი, არამედ კონკურენტუნარიანი იდეების შეჯერების ადგილს. ეს მოლოდინი მიმართული იქნება იმისკენ, რომ ვეცადოთ დემოკრატიული პრინციპების დამყარებას ქართულ პოლიტიკაში და შემდეგ მის გავრცელებას მთლიანად საზოგადოების არსებობის წესში.

**ლალი ზირაქიშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### კობა დავითაშვილი სერიალების შეზღუდვას ითხოვს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ სერიოზულად შეიზღუდოს ისეთი ტიპის პროდუქციის დემონსტრირება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას, ჰომოსექსუალურ, ბისექსუალურ და პოლიგამურ კავშირებს.**

**როგორც კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა მას უკვე მომზადებული აქვს. დეპუტატის თქმით, მსგავსი ტიპის პროდუქციის ერთ-ერთი წარმოჩინების გზა არის სატელევიზიო სერიალები.**

**— საქართველოში არსებობს მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ კანონი, რომელიც ფორმალურად არსებობდა წლების განმავლობაში. ვინაიდან რეალურად არ არსებობდა ამოქმედების მექანიზმები, ჩემი აზრით, აუცილებელია ამ კანონის ამოქმედება. მე მოვამზადე ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დაცვას მავნე ზეგავლენისგან, კერძოდ,ეს ეხება სერიოზულ შეზღუდვებს იმ ტიპის პროდუქციის დემონსტრირებისა, რომლებიც ახდენენ წახალისებას და პროპაგანდირებას ძალადობის, ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და პოლიგამული კავშირების. გარკვეულწილად, მე ავიღე ლიტვის კანონმდებლობა, რომელიც ლიდერია ამ სფეროში. ბევრმა ქვეყანამ გადაიღო ლიტვის კანონმდებლობა და ჩვენ არ უნდა ვიყოთ გამონაკლისები, სერიოზულად უნდა შეიზღუდოს ასეთი პროდუქციის გავრცელება, როგორც ტელეეთერით, ასევე სხვა საშუალებებით, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

**მისივე თქმით, სატელევიზიო სერიალებში ჩანს, რომ ოჯახის წევრებს შორის ყველაფერი „მოსულა“ და ბავშვები ამ ყველაფერს ისრუტავენ, რაც არ არის მისაღები.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

***„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის ინიციატივით გამოდის. ამ მიზნით მალე ხელმოწერების შეგროვება დაიწყება.***

***ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ იგი შეძრწუნებულია შს სამინისტროში გამართული შეხვედრიდან მიღებული ინფორმაციით. ამდენად, მისი თქმით, კამათი იმის შესახებ, არის თუ არა სისტემური დანაშაული ის, რაც ვიდეოფირებზეა ასახული, საზოგადოების შეურაცხყოფა და შეცდომაში შეყვანაა.***

***„არაერთგზის ვნახეთ ამის მაგალითები და მოქალაქეებმა ხშირ შემთხვევაში თავის თავზე იწვნიეს ის ქმედებები, რაც ამ დანაშაულის სისტემურ ხასიათს ახასიათებს. ფაქტია, „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა და იგი უნდა აიკრძალოს. უნდა დადგეს ამ ორგანიზაციის პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. უნდა გასამართლდნენ არა მარტო ისინი, ვინც ასრულებდნენ დავალებებს, არამედ ისინიც, ვინც იყვნენ დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელები, ორგანიზატორები, იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნეს ამ სისტემას“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.***

***ამასთან, იგი დარწმუნებულია, რომ გამოძიების შედეგად დანაშაულის კვალი მიხეილ სააკაშვილამდე და მის უახლოეს გარემოცვამდე მივა. ამის შემდეგ კი „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრებს კი, ვინც ცდილობს, როგორმე გაამართლონ ან ერთეულ შემთხვევებს დააბრალონ ის, რაც ხდებოდა, როგორც მინიმუმ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა აეკრძალოთ პოლიტიკური საქმიანობა.***



# რამდენად რეალურია „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა?

ბურჯანაძის თქმით, დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის ნაცვლად უნდა დაიწყოს დენაციფიკაციის, ანუ „ნაციონალური მოძრაობისგან“ გათავისუფლების პროცესი.

რამდენად რეალიზებადია ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით და რა შეიცვლება ნაცმოძრაობისთვის მათი საწინააღმდეგო ხელმოწერების შეგროვების შემდეგ?! ამის შესახებ For.ge-ს ექსპერტები და პოლიტიკოსები ესაუბრნენ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** აცხადებს, რომ იურიდიულად ეს ინიციატივა განხორციელებადი არ არის. თუმცა, ეს შეიძლება გულისხმობდეს არა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის აკრძალვას, არამედ — რეჟიმის გასამართლებას. ამას კი „თავისუფალი საქართველოც“ მხარს უჭერს, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა დამნაშავე ჩინოვნიკი უნდა გასამართლდეს.

**„სწორედ ამას ითხოვს ჩვენი საზოგადოება და არა იმას, რომ ფორმალურად აიკრძალოს ნაცმოძრაობა. ფორმალურად ახლა მთელ მსოფლიოში არსებობს კომუნისტური პარტია, ფაშისტური პარტიებიც... თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებამ მათ უკვე გამოუტანა განაჩენი“,** — აღნიშნა კაკა კუკავამ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დანაშაულის კვალი მიხეილ სააკაშვილამდე და მის უახლოეს გარემოცვამდე მივა, ესეც ვერ იქნება ამ მოძრაობის აკრძალვის საფუძველი. კერძოდ, წმინდა ფორმალური მომენტია, რომ იურიდიული პირი არ აგებს პასუხს ფიზიკური პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. თუმცა, პოლიტიკოსის აზრით, თუ მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ გაასამართლებენ, ეს რეალურად მისი აკრძალვის ტოლფასი იქნება.

კახა კუკავა არც ხელმოწერებზე ამყარებს გადაჭარბებულ იმედებს. მიაჩნია, რომ ხელმოწერები არაფერს შეცვლის და ეს არ არის ის საკითხი, რომელიც ხელმოწერებით შეიძლება გადაწყდეს. ამისთვის არსებობს ევროპის ძალიან ბევრი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, რაც ადასტურებს, რომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა ძალიან რთული და არაფრის მომცემი პროცედურაა.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის თქმით, დავუშვათ, მართლაც აიკრძალა „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ ეს ადამიანები დააფუძნებენ ე.წ. ახალ ეროვნულ მოძრაობას, ისევე, როგორც ახლაც ჰქონდათ ამის მცდელობა. ამიტომ ამ აკრძალვით არაფერი გამოვა.

„ჩვენ ეს ადამიანები უნდა გავასამართლოთ და მათ უნდა მოვუსპოთ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება, თორემ სიტყვა „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერს აშავებს“ — განმარტავს კახა კუკავა.

კონფლიქტოლოგი **გოგი ხუციშვილი** მიიჩნევს, რომ სამართლიანი იქნებოდა ამ მოძრაობის აკრძალვა, მაგრამ საეჭვოა, რეალურად ეს განხორციელდეს. მით უფრო, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესებს, რომელიც ოქტომბრის შემდეგ წამოიწყო ახალმა ხელისუფლებამ, ყოველთვის დიდი ზეწოლა მოჰყვა. ამ ზეწოლის გამო მეტ-ნაკლებად მთავრობამ და პრემიერ-მინისტრმა დათმეს და შეაჩერეს ეს პროცესები. ყოველ შემთხვევაში, — ზოგიერთი პროცესი უკვე შეჩერებულია. ახლა კი, როდესაც უფრო მეტი დრო გავიდა და ვაშინგტონსა და ბრიუსელში საქართველოს მიმართ შეფასებები თითქოს უფრო გაწონასწორებული გახდა, მერაბიშვილის დაკავებამ და მის მიმართ სამართლებრივმა პროცესმა გამოიწვია სრულიად გაუგებარი რამ ამერიკის კონგრესის განცხადების სახით. კერძოდ, ისევ თითს უქნევენ ახალ ხელისუფლებას და ეუბნებიან, რომ მის დაკავებას პოლიტიკური დევნის ხასიათი აქვს.




**„ყოფილ ხელისუფლებას მხარს უჭერდა ამერიკა. ამიტომ თურმე დანაშაულზე თვალი უნდა დახუჭოს და არავინ დააკავოს ახალმა ხელისუფლებამ. სწორედ ასეთია მათი მიდგომა. თქვენ წარმოიდგინეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგაც რომ შეგროვდეს ეს ხელმოწერები, რაც ხალხის აღშფოთების გამო სრულიად ლოგიკური იქნება, მაინც არაფერი შეიცვლება. ამით „ნაციონალური მოძრაობა“ მაინც არ აიკრძალება, რადგან ისევ წამოვა ზეწოლა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან და გვეტყვიან, ეს არის ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციური პარტია, სხვა არ გყავთ, ამიტომ კოჰაბიტაცია არ უნდა დაინგრეს“,** — აცხადებს გოგი ხუციშვილი და განმარტავს, სინამდვილეში, რა აწუხებს ამერიკისა და ევროპის ცალკეულ პოლიტიკოსებს.

კერძოდ, თუკი ისინი დაჭერების წინააღმდეგ არ გამოვლენ, მაშინ ცხადი იქნება, რომ დანაშაულებრივ რეჟიმს ამდენი წლის განმავლობაში ისინიც მხარს უჭერდნენ და საქართველოში მომხდარის გამო ნაწილობრივი პასუხისმგებლობა მათაც ეკისრებათ. ამიტომაც კონფლიქტოლოგი ელის, რომ, თუკი „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის საკითხი დადგება, კიდევ წამოვა გააფთრებული წინააღმდეგობა.

ამის მიუხედავად, გოგი ხუციშვილს მიაჩნია, რომ პროცესი უნდა დაიწყოს და „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით ხელმოწერებიც აუცილებლად უნდა შეგროვდეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **აკაკი ბობოხიძე** ნინო ბურჯანაძის თუ ნებისმიერი სხვა პირის ინიციატივას „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით ლეგიტიმურად მიიჩნევს, თუმცა ბურჯანაძეს შეახსენებს „მოქალაქეთა კავშირს“ — სისტემურ კორუფციას, ციხეებში პატიმრების წამებას, ადამიანების გადაყრას პოლიციის სამმართველოებიდან. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, აკაკი ბობოხიძე ვერ იხსენებს, ნინო ბურჯანაძეს „მოქალაქეთა კავშირის“ აკრძალვის რაიმე მოთხოვნა წამოეყენებინა.

მისი თქმით, როცა ბურჯანაძის მხრიდან სისტემურ დანაშაულზეა საუბარი, ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ყველა პოლიციელი ჩართული ყოფილა ამ საქმიანობაში. კაკო ბობოხიძე კი ამას არ ეთანხმება. მისი თქმით, თავის დროზე, როცა ნაციონალები სისტემურ პრობლემებს ებრძოდნენ, 60 ათასამდე პოლიციელის გაშვება მოუწიათ სამსახურიდან. ამიტომ მას ეეჭვება, პოლიცია მთლიანად გადართულიყო ამ დანაშაულებში.

**„თუ ეს კონკრეტული ადამიანის დანაშაულია და გარკვეული ჯგუფები აკეთებდნენ ამ საშინელებებს, მაშინ ეს უფრო რთულია, რადგან, როცა სისტემის ნაწილი ხარ, გინდა თუ არა, იძულებული ხდები, ამ სისტემის მოთხოვნებს დაემორჩილო. ასე რომ არ ყოფილიყო, პოლიციას ნდობის დიდი ხარისხი არ ექნებოდა. მომხდარის გამო, რა თქმა უნდა, უნდა დაისვას იმ ხელმძღვანელი პირების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდნენ შესაბამის სტრუქტურებს, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა. თუმცა, ნინო ბურჯანაძეც და ირაკლი ღარიბაშვილიც პოლიტიკური მოტივით აკეთებენ ამ განცხადებებს. მათი მთავარი ამოცანაა, ბრალდებები რამენაირად მივიდეს მერაბიშვილამდე. თუკი ბრალდებებს სისტემური დანაშაულის კვალიფიკაცია არ მიეცემა, მაშინ ბრალდებები მერაბიშვილამდე ვერ მივა“,** — აცხადებს კაკო ბობოხიძე.

მისივე თქმით, **თუკი ბურჯანაძე ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ არაფერი შეიცვლება. მართალია, დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს, მათ შორის, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის დონეზეც, თუმცა ეს გადაწყვეტილება დროებითი იქნება. კაკო ბობოხიძის თქმით, საბედნიეროდ, ჩვენ არ ვცხოვრობთ ჩაკეტილ სისტემაში და ასეთი გადაწყვეტილების გამო ჩვენი ქვეყანა აგებს პასუხს. დღევანდელი ხელისუფლება კი ამას მოსახლეობაზე ზრუნვით კი არ აკეთებს, არამედ — პირადი ანგარიშსწორებით.**

**მანანა ნოზაძე**

## ალიან-ჩალიანი

### ბათუმში მყოფი ეკომიგრანტები 45 დღეა თავშესაფარს ითხოვენ

**ეკომიგრანტებმა აჭარის მთავრობის სახლთან კარვები გაშალეს, სადაც ღამეს ათევენ. როგორც ეკომიგრანტმა მევლუდ ვაშაყმაძემ აღნიშნა, არაერთი თხოვნის მიუხედავად თავშესაფარი მთავრობამ არ გამოუყო, რის გამოც პროტესტის ნიშნად, ეკომიგრანტებმა პასპორტების გადაყრა დააპირეს.**

**— ჩვენ გუშინ ველოდით ხელისუფლებისგან დადებით პასუხს, დროებითი თავშესაფარი უნდა მიგვეღო. პასუხი კვლავ უარყოფითია, რის გამოც აღელვებულზე დაყარეს პასპორტები. ისედაც დაცლილია ხალხისგან ქვეყანა. ვითხოვთ დროებით თავშესაფარს აჭარაში, რადგან სხვაგან წასასვლელი არ გაგვაჩნია. 45 დღეა აქ ვართ და გარდა იმისა, რომ კომისია შეისწავლის ჩვენს საკითხს, მეტი არაფერი კეთდება, — აღნიშნა მევლუდ ვაშაყმაძემ.**

**როგორც ეკომიგრანტმა ვაჟა იაკობაძემ აღნიშნა, ცენტრალური ხელისუფლება მათ დახმარებას შეპირდა, თუმცა, ადგილობრივმა მთავრობამ თავშესაფარი არ გამოყო.**

**ეკომიგრანტების საკითხს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს. როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულმა აჭარაში გიორგი ჩარკვიანმა აღნიშნა, ამ დღეებში სახალხო დამცველი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს გააკეთებს.**

**ეკომიგრანტები 16 სამარშრუტო ტაქსით ბათუმში 45 დღის წინ დაბრუნდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, საბერძნეთიდან დაბრუნებულმა სახლების მეპატრონეებმა გამოასახლეს. ეკომიგრანტები ამჟამად ბათუმში, მთავრობის სახლთან კარვებში ცხოვრობენ და მათი განცხადებით, ელემენტარული პირობები, მათ შორის საწოლიც კი არ გააჩნიათ.**

### ხეტყის უკანონო ჭრა გრძელდება

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული სიტუაცია შეისწავლა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ბორჯომში, ადიგენსა და ახალციხეში არსებული სიტუაციის შესწავლის შედეგად რამდენიმე ათეული კანონდარღვევა გამოვლინდა.**

**დეპარტამენტის საქმიანობის შედეგად სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით შედგენილია 30 ოქმი; ჯარიმების საერთო რაოდენობა აღემატება 30 000 ლარს; ჩამორთმეულ იქნა უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე (სამასალე მორი), — აცხადებენ სამინისტროში. გარდა ამისა, უწყების განმარტებით, საქმის მასალები გამოძიებისათვის გადაეცა პოლიციას და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. — დეპარტამენტს ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი აქვს საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ეფექტურად განხორციელებას და სამართალდარღვევათა შემაკავებელი სისტემის ჩამოყალიბებას.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



# ჯუმბერ ლომინაძე: „ცოდნა ყოველთვის ამარცხებდა უვიცობას“

**საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ასტროფიზიკოსი ჯუმბერ ლომინაძე „სსრ კავშირის ატომური პროექტის“ სათავეში იდგა. იგი შეარჩია „დახურულმა“ აკადემიკოსმა სახაროვმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 კურსდამთავრებულებთან ერთად ურალის ბირთვული ცენტრის „ობიექტზე“ სამუშაოდ.**

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე მოსკოვში არ ყოფილა რამდენიმე წელია, არ შეეძლო ჩამოსვლა, მეც არ დავუსვი შეკითხვა „რატომ?“, ვინაიდან პასუხი ისედაც ცხადი იყო მისთვისაც, ჩემთვისაც. მაგრამ ახლა რომ არ ჩამოსულიყო, მას არ შეეძლო. ჯერ ერთი, მიმდინარეობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ახალი პრეზიდენტის არჩევნები, სადაც ის მიწვეული იყო. მეორეც, საქართველოში სიტუაცია შეიცვალა, რამაც აკადემიკოს ლომინაძეს მისცა შესაძლებლობა, ჩამოსულიყო მოსკოვში ღიად, დაუმალავად. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამგვარი რამის გაკეთება რთული იყო...

— არ არის გამორიცხული, რომ მალე მოგიწვევთ თბილისში, — თქვა ჯუმბერმა, — მე იქ აკადემიის ვიცეპრეზიდენტად ვარ არჩეული, ვცდილობ, აღვადგინოთ თბილისში კირილ ივანეს ძე შჩოლკინის ძეგლი. და გვექნება საბაბიც კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს არა მოსკოვში, არამედ თბილისში...

მჯერა, რომ აკადემიკოსი ლომინაძე მიაღწევს დასახულ მიზანს: დიდი კონსტრუქტორი და მეცნიერი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი კ.ი.შჩოლკინი წარმოშობით თბილისელია. მაგრამ მისი ძეგლი მაშინ აიღეს, როდესაც ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა. არგუმენტი უკიდურესად მარტივი იყო: რატომ უნდა დავუდგათ ძეგლი საბჭოთა ბირთვული იარაღის ერთ-ერთ შემქმნელს?! ამგვარ გამონათქვამთა მთელი უგუნურობა ცხადია, და ახლა ქართველი მეცნიერები ცდილობენ, აღადგინონ სამართლიანობა, აი, ინიციატორად კი, რასაკვირველია, გამოვა ჯუმბერ ლომინაძე, რომელიც ურალის ბირთვულ ცენტრში იყო დიდი შჩოლკინის ერთ-ერთი კოლეგა.

სხვათა შორის, სწორედ ბატონი შჩოლკინის წყალობით მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა აკადემიკოს ლომინაძესთან. ეს „ბობოქარ 90-იან“ წლებში მოხდა, როდესაც ახალი ხელისუფლება ცდილობდა, მთლიანად გადაესვა ხაზი წარსულისთვის, დაევიწყებინა იგი ან, რაც ყველაზე სახიფათოა, სახელი გაეტეხა მისთვის, თითქოსდა ამ წარსულში არც ყოფილიყვნენ ჩვენი მამები და პაპები.

აკადემიკოს ლომინაძესთან ჩემი დღევანდელი შეხვედრის საბაბი ჩემი წიგნის „ატომური საუკუნე. ბომბი“ გამოსვლა გახდა. ესაა წიგნი არზამას-16-სა და ჩელიაბინსკ–40-ზე. ჯუმბერ ლომინაძე ერთხანს ურალის ბირთვულ ცენტრში მუშაობდა და, ბუნებრივია, დააინტერესა წიგნმა. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ. და არა მხოლოდ იმ ადამიანების ბედზე, ვისაც ვიცნობდით...

მე მას შევეკითხე:

**— როგორ მოხვდით ურალში, საიდუმლო ბირთვულ ცენტრში?**

— ვსწავლობდი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. 1955 წელს დაირხა ხმები, რომ ჩვენთან ჩამოდის ორი „დახურული“ აკადემიკოსი და ისინი შეარჩევენ თავისთან წასაყვანად ახალგაზრდებს. მაშინ მე დღეს ცნობილ ისეთ მეცნიერებთან ერთად ვსწავლობდი, როგორებიც არიან საგდეევი, კროხინი, როზანოვი, მორდვინოვი, ხლებნიაკოვი. ცხოვრებამ სხვადასხვა მხარეს მოგვისროლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სახელები ბევრ რამეს ნიშნავენ მეცნიერებაში — ისინი არიან აკადემიკოსები, ყველაზე პრესტიჟული პრემიების ლაურეატები, მეცნიერებაში ახალ მიმართულებათა შემქმნელები... მაშ ასე, ჩამოდის ჩვენთან ფაკულტეტზე ორი ახალგაზრდა აკადემიკოსი ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი და იაკობ ბორისის ძე ზელდოვიჩი. და დაიწყეს ჩვენი „გამოცდა“ სტატისტიკურ ფიზიკასა და ჰიდროდინამიკაში. ბოლოს და ბოლოს, მათ შეარჩიეს თერთმეტი კაცი — „ფეხბურთის გუნდი“. ჩვენ გვითხრეს, რომ დამთავრების შემდეგ წავალთ „ობიექტზე“. ასეც მოხდა: ჩვენ გამოგვიძახეს „სრედმაშში“ და იქიდან მატარებლით ურალში გაგვაგზავნეს. დასახე-



2013 წლის ივნისში მე შევხვდი კ.შოლკინის შვილს ფელიქსს, რომელმაც ბევრი საინტერესო ამბავი მომიყვა მამამისის შესახებ.

ლება კი არაჩვეულებრივი იყო — 21-ე მოედანი“.

**— „ობიექტამდე“ იქ მუშაობდა ლეგენდარული ტიმოფეევ-რესოვსკი, მისი ლაბორატორიის არქივი დღემდე ინახება... უფრო სწორედ — ჩააგდეს აგურის სარდაფში გამოუსადეგრობის გამო... თავად ბირთვული ცენტრი ახლა გვერდითაა, „21-ე მოედანზე“ — საბავშვო ბანაკი და დასასვენებელი სახლია...**

— 1956 წლის თებერვალში, როდესაც „ობიექტზე“ ჩავედით, ყველაფერი სხვაგვარად იყო — ზესაიდუმლო ზონა, ჩვენ კი ვმუშაობდით ორსართულიან შენობაში, სადაც ტექნიკუმი იყო.

**— იქ ახლა კოოპერატივი დამკვიდრდა...**

— სამწუხაროდ, დიდი ხანია იქ აღარ ვყოფილვარ — არ ვიცი... გზის გამკვალავები შჩოლკინის მეთაურობით „21-ე მოედანზე“ ჩავიდნენ სულ სამი-ოთხი თვით ადრე ჩვენამდე, ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენ არ ვიყავით პირველები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიყავით პირველ რიგებში... როდესაც მატარებლით მივდიოდით, გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენი თავი გაგვესაღებინა „გეოლოგებად“. ჩვენთან ერთად მოდიოდა კიდევ ერთი კაცი. ის ძალიან დაინტერესდა ახალგაზრდებით და ჩემითაც, ვინაიდან მე ვუჩვენებდი ფოკუსებს. ის აღტაცებისგან ლამის გაგიჟდა! გვეკითხება: „ვინა ხართ თქვენ?“ ვუპასუხეთ; „გეოლოგები“. „როგორ?“ მე თქვენ ჩემთან მიმყავხართ — მე ხომ „ურალის ფერადი ლითონებისა და ოქროს“ სამმართველოს უფროსი ვარ“... ერთი სიტყვით, ძლივს მოვახერხეთ თავის დაძვრენა — ჩვენ თანამგზავრს ურალში მართლა უზარმაზარი ხელისუფლება ჰქონდა... ჩავედით „ობიექტზე“ და აქ ფოკუსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩემს ბედში — მათ გამო ზაბაბახინმა თავისთან წამიყვანა.

**— სინდისი არ გაწუხებთ, რომ მონაწილეობას ღებულობდით „სსრ კავშირის ატომურ პროექტში?“.**

— ამ შეკითხვას ხშირად მისვამენ, აიო, ასეთ საშინელ იარაღს ამზადებდითო... მაგრამ ხალხს ხომ არ ესმის, რომ იყო სრულიად სხვა დრო, სხვა ეპოქა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ვაკეთებთ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ჩვენი სამშობლოსთვის. ენთუზიაზმიც შესაბამისი იყო, არც თავს ვზოგავდით. მე დღემდე ვამაყობ, რომ მონაწილეობას ვღებულობდი ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ მნიშვნელოვან და საჭირო საქმეში... მეტად ნათელია მოგონებები იმ დროზე. 1996 წელს ჩემი ცოლი და მე ჩავედით ჩელიაბინსკ-70-ში, მოვინახულეთ ის სალხი, სადაც ვცხოვრობდით. უბრალო რუსმა ქალმა მიგვიღო, მიგვიწვია სუფრაზე... გვეჩვენებოდა, რომ გვქონდა უზარმაზარი ბინა, აბაზანა. ახლა კი უცბად დავინახეთ, რომ ის ერთი ციცქნაა... ჩემს მეუღლესაც ცნობდნენ — იგი ხომ ექიმად მუშაობდა, მკურნალობდა პატარებს. ის ხალხს არ დავიწყებია.

**— სნეჟინსკში დარჩა ვინმე საცხოვრებლად?**

— ჩვენი „ფეხბურთის გუნდიდან“ დარჩა ოთხი, მათ შორის ხლებნიკოვი და მორდვინოვი, მე კი 1960 წელს წამოვედი. იარაღი უკვე დამზადებული იყო, იწყებოდა ახალი ეპოქა და თან საოჯახო საქმეებმაც მოითხოვეს, რომ დავბრუნებულიყავი სამშობლოში, თბილისში. და მოხდა გასაოცარი ამბავი: თურმე, ჩვენი მთავარი კონსტრუქტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი კირილ ივანეს ძე შჩოლკინი წარმოშობით თბილისელი ყოფილა! სამწუხაროდ, ურალში მე ეს არ ვიცოდი... მე დიდი მონაწილეობა მივიღე თბილისში შჩოლკინის ძეგლის შექმნაში. ეს იყო 1982 წელს. ხედავთ, საჭირო გახდა მეოთხედ საუკუნეზე მეტი, რომ საქართველოში ცნობილი გამხდარიყო იმ კაცის შესახებ, რომლითაც მართლაც შეიძლება სამართლიანად იამაყო. დღეს ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე, და კირილ ივანეს ძე შჩოლკინის ბედი და ცხოვრება — ამის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მაგალითია... მე საქართველოში გავიზარდე, ვმუშაობ იქ, მაგრამ ვსწავლობდი მოსკოვში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში მყავს ბევრი მეგობარი და უმათოდ მე ჩემი ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

**— ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ თქვენ ერთადერთი მეცნიერი ხართ საქართველოდან, ვინც „ატომურ პროექტში“ ღებულობდა მონაწილეობას?**

— იმ ეტაპზე ეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც იყო. სხვა ქართველები მე არ მინახავს. და ეს ჩემთვის საპატიოა, იმიტომ რომ „ატოუმრმა პროექტმა“ ძირეულად შეცვალა მსოფლიო — მასზე პლანეტის მეცნიერული ელიტა მუშაობდა, და იყო ასეთი საქმის მონაწილე, ვიმეორებ, დიდი ღირსებაა მეცნიერისთვის...

**— შჩოლკინმა და ზაბაბახინმა განსაზღვრეს თქვენი ცხოვრება მეცნიერებაში?**

— ზაბაბახინი ჩემი მასწავლებელი იყო. ის გვაძლევდა რაღაც ამოცანებს, ჩვენ ყოველთვის როდი გვესმოდა მათი აუცილებლობა და მნიშვნელობა, მაგრამ ვცდილობდით მათს გადაწყვეტას. გაითვალისწინეთ, რომ მაშინ ჩვენ 24 წლისანები ვიყავით... ზაბაბახინმა გაგვიხსნა ჩვენ მეცნიერების კარი, შთაგვინერგა შემეცნების გემოვნება, გვასწავლა აზროვნება და ანალიზის გაკეთების უნარი. თანაც ამას ის ყოველთვის აკეთებდა არასტანდარტულად... მიქელანჯელოს ერთ-ერთ მასწავლებელს ჰქონდა ქოთანი. ის მას ავსებდა ფულით. ამ ქოთნიდან ფულის ამოღება შეეძლო ყველას, ვინც ისურვებდა... ზაბაბახინს ჰქონდა სეიფი, იქაც იყო ფული — ის მას არასოდეს ითვლიდა. და ყოველ ჩვენგანს შეეძლო ესარგებლა ამ სეიფით, ბატონ ევგენის კი არასოდეს აინტერესებდა, ვინ რამდენს



აკადემიკოსი ჯ.ლომინაძე, ცნობილი სამეცნიერო ჟურნალისტი, მწერალი, დრამატურგი ვ.გუბარევი და აკადემიკოსი ბ.პატონი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აიღებდა... მართლაც გასაოცარი ადამიანი იყო ზაბაბახინი! უყვარდა ურალის მხარე, ბევრს მოგზაურობდა ფეხით, ზაფხულში კი მანქანითაც — უყვარდა და კარგად იცოდა ურალი. ასე რომ, ჩვენთვის ზაბაბახინი — ეს იყო სკოლა. სამეცნიეროც, ადამიანურიც... სამწუხაროდ, შჩოლკინს ჩვენ ნაკლებად ვიცნობდით — ის შორს იყო. მაგრამ მისგან ჩვენ „გადმოვიღეთ“ მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმიც და სხვებისადმიც.

**— მაშ ასე, თქვენ დაბრუნდით თბილისში... მაგრამ იქ ხომ არ ყოფილა „საბომბო“ თემატიკა?**

— მე მუშაობა დავიწყე ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც ვამუშავებდი პლაზმის ფიზიკის, ესე იგი მართული თერმობირთვული რეაქციის საკითხებს. არ ვკარგავდი კონტაქტებს მოსკოვთან. უწინარეს ყოვლისა, კურჩატოვის სახელობის ინსტიტუტთან, სადაც ამ პრობლემას ამუშავებდა აკადემიკოსი ველიხოვი. ჩვენ დაკავშირებული ვიყავით აკადემიკოს კადომცევთან, მის ლაბორატორიასთან და თანამშრომლობის მეორე მიმართულება იყო — კოსმოსურ კვლევათა ინსტიტუტი, რომელსაც მაშინ სათავეში აკადემიკოსი საგდეევი ედგა, ჩემი დიდი მეგობარი. 70-იანი წლების დასაწყისში ბატონმა ევგენი ხარაძემ მიმიწვია ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. იქ ჩამოვაყალიბე თეორილი ასტროფიზიკის განყოფილება. ერთი სიტყვით: ბომბი-თერმო ბირთვული იარაღი-პლაზმა და პულსარები-კოსმოსი, ეს ყოველივე ერთი მიმართულების მოვლენებია...

მე მაგალითს ვიღებდი, უწინარეს ყოვლისა, ზელდოვიჩისგან, რომელიც არზამას-16-დან ასტროფიზიკაში „წავიდა“, და მეორეც, საგდეევისგან, რომელიც პლაზმის ფიზიკიდან კოსმოსურ კვლევებში „გადასახლდა“. ახლა მე მაქვს თეორიული ასტროფიზიკის შესანიშნავი განყოფილება, მასში მეცნიერებათა ხუთი დოქტორი, თხუთმეტი კანდიდატია. შემიძლია დავიტრაბახო — შედეგები განყოფილებაში ძალიან კარგია, და ამას აღიარებენ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები. შემდეგ კი მთხოვეს სათავეში ჩავდგომოდი აბასთუმნის ობსერვატორიას, და ახლა მისი დირექტორი გახლავართ. ობსერვატორია მთებშია, და მიწევს იქ ასვლა ორ თვეში ერთხელ, მე ხომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანიც ვარ, ამიტომ ძირითადი სამუშაო — თბილისში მაქვს. ამას პლუს — ვასწავლი უნივერსიტეტშიც. ასე რომ, სამუშაო მყოფნის.

**— საქართველოში არ ვყოფილვარ 1991 წლის შემდეგ. რა ხდება თქვენთან მეცნიერებაში?**

— ჯერჯერობით იგი არის. ჩვენ გვაქვს გამოჩენილი მათემატიკური სკოლა, კარგი ფიზიკა, შესანიშნავი ფილოსოფია, ბიოფიზიკა. და, რაც მთავარია, სამეცნიერო სკოლებისთვის — გვყავს ახალგაზრდობა. ჯერჯერობით ისინი შემორჩენილი არიან აკადემიაში ძირითადად ენთუზიაზმით. მაგრამ გადინებაც აქტიურად მიმდინარეობს... მე ვსაუბრობ თეორიულ ფიზიკასა და მათემატიკაზე, აი, ექსპერიმენტული მეცნიერება კი, რასაკვირველია, კატასტროფულ მდგომარეობაშია...

**— თქვენი პროგნოზი?**

— მე — ოპტიმისტი ვარ. არ შემიძლია ვიწამო, რომ ის დიდი მიღწევები მეცნიერებაში, რაც მოპოვებულია რუსეთსა და საქართველოში, შეიძლება დაიღუპოს, გაქრეს. თავად მეცნიერები არასოდეს დაუშვებენ ამას. ცოდნა ყოველთვის ამარცხებდა უმეცრებას. ამაზე დგას ჩვენი ცივილიზაცია.

**— დიდი მადლობა. ჩემი აზრით, თქვენს სიტყვებს ველარაფერს დავუმატებთ...**

შემდეგ ჯუმბერ ლომინაძემ და მე ვისაუბრეთ უკვე მისი გამგზავრების წინ. მასთან სწორედ ამ დროს იყო კ.ი.შჩოლკინის ვაჟიშვილი და საუბარი შეეხებოდა ძეგლის დაბრუნებას თბილისის ერთ-ერთ მოედანზე.

**— ჩვენ აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას, — დაგვარწმუნა აკადემიკოსმა ლომინაძემ — და ამას ერთად გავაკეთებთ...**

**ვლადიმირ გუბარევი**

**ცნობილ მეცნიერების პოპულარიზატორ მწერალ-ჟურნალისტთან ვლადიმერ გუბარევთან აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ეს ინტერვიუ ამ რამდენიმე წლის წინათ არის ჩაწერილი, მაგრამ თავისი მეცნიერული მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. სწორედ ამიტომაც გამოაქვეყნა აღნიშნული ინტერვიუ გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა“, ამიტომ ვაქვეყნებთ ჩვენც.**

**ახალი ხედვა**

## გიორგი კვესიტაძე: დაქსაქსულ მეცნიერებას გავაერთიანებთ, ქართული მეცნიერების პრესტიჟს დავიცავთ!



**როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, 19 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის მეექვსე პრეზიდენტად აირჩია აკადემიკოსი გიორგი (ოთარ კვესიტაძე).**

გუშინ ახალი პრეზიდენტი მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე სასაუბროდ. მართალია ტელეჟურნალისტებმა მას საფუძვლიანი დიალოგის გამართვის საშუალება არ მისცეს (სასწრაფოდ უნდა ჩაგწეროთო!), მაგრამ ენერგიულმა პრეზიდენტმა რამდენიმე საგულისყურო მოსაზრება მაინც ჩამოაყალიბა:

— ბოლო 20 წლის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან მეცნიერების მიმართ არამეგობრული დამოუკიდებლობის გამო, მეცნიერება ყველაზე მეტად დაზიანდა. მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა საქართველო დატოვა, ზოგიერთმა კი მეცნიერებას თავი დაანება.

— დღეს საქართველოში 90-იან წლებამდე არსებული მეცნიერთა პოტენციალის მხოლოდ 25-30% დარჩა, თუმცაღა ქვეყნისთვის მაინც ძალიან ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ.

— მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უნდა შექმნას ერთიანი სამეცნიერო სივრცე, სადაც ყველა სამეციერო დაწესებულება მიიღებს მონაწილეობას და თავის წვლილს შეიტანს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში.

— საქართველოში დღეს მეცნიერება დაქსაქსულია, წინა პლანზე წამოვიდა ე.წ. საუნივერსიტეტო მეცნიერება, რაც მისასალმებელია. თუმცა, უნივერსიტეტის მეცნიერებას დიდი პოტენციალი მხოლოდ ფინანსურად ძლიერი უნივერსიტეტების შემთხვევაში აქვთ. თუკი უნივერსიტეტი და კომპანიები ფინანსურად ძლიერნი არ არიან და კვლევები წარმოებს ბიუჯეტის ხარჯზე, მხოლოდ საუნივერისტეტო მეცნიერების არსებობას დიდი უპირატესობა არ გააჩნია.

— ჩვენი უნივერსიტეტები დღეს მაინცდამაინც მაღალი მეცნიერული კვლევებით არ გამოირჩევიან და იქ კვლევების დუბლირება ხდება. დღემდე არსებულ სამეცნიერო ინსტიტუტებში კი არსებობს სერიოზული პოტენციალი, რომელიც სახელმწიფოს დიდ სარგებელს მოუტანს.

გიორგი კვესიტაძე მიიჩნევს, რომ შეიძლება დამუშავდეს მეცნიერული ტექნოლოგიები, იმ მეცნიერთა დონის ხარჯზე, რაც დღეს საქართველოშია. იგი ყოველმხრივ შეეცდება, რომ მეცნიერება ყველა დონეზე დაიცვას. ამასთან, მან თქვა, რომ ევროპის თითქმის ყველა უნივერსიტეტში მუშაობენ ქართველი მეცნიერები, რომლებიც საქართველოში ჩამოყალიბდნენ, გაიზარდნენ და დღემდე წარმატებით მოღვაწეობენ.

პრესკონფერენციაზე გიორგი კვესიტაძემ ორი პროექტის შესახებ ისაუბრა, რომლის შეთავაზებასაც ხელისუფლებისთვის აპირებს — ეს არის **ახალი ეკოლოგიური კონცეფცია**, რომელიც შემუშავებულია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მომავალში შესაძლოა უდიდეს სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცეს და მეორე, არსებობს ტექნოლოგიები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში დამლაშებული ნიადაგების გამდიდრებას შეუწყობს ხელს, რათა შემდეგ მათი გამოყენება მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მიწებად. საერთოდ, **სოფლის მეურნეობის აღორძინება** ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

* * *

**პრეზიდენტი** გიორგი კვესიტაძე ჟურნალისტებთან ნაყოფიერ, შეუფერხებელ თანამშრომლობას გვპირდება.

**სოსო დონაძე**

**სანამ რექტორს აირჩევენ**

# მომავალი თუ წარსული?!

**ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა რამდენიმე დღის წინათ სტუდია „ობიექტივის“ ეთერში გასულმა სიუჟეტმა ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. ვიდრე უშუალოდ საკითხის შესახებ ჩემ პირად მოსაზრებებს შევთავაზებ მკითხველს, მცირედ გადახვევას გავაკეთებ.**

უნივერსიტეტი და სახელმწიფო ერთმანეთის გარეშე არ მოიაზრებიან. მათი წარმატებული თანაარსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ინტერესები დაემთხვეს უნივერსიტეტის იდეას.

სახელწიფოსა და უნივერსიტეტის თანაარსებობისთვის აუცილებელია მათი იდეების დამთხვევა, ისინი უნდა ესწრაფოდნენ საერთო მიზნებს, უნდა მომდინარეობდნენ საერთო სათავიდან. სახელმწიფოს სურს (ყოველ შემთხვევაში, უნდა სურდეს), რომ უნივერსიტეტი საზრდოობდეს თავისი მარადიული, ზესახელმწიფოებრივი წყაროთი.

თუ უნივერსიტეტში უარყოფილია თვითკრიტიკა, როგორც ვალდებულება, ამ შემთხვევაში გზა ეხსნება სულ სხვა ინტერესებს, რის შედეგადაც ერთიანდებიან არაჯანსაღი ძალები, ჭეშმარიტების ძიებას ენაცვლება ვიწრო დოგმატიკა. გულღია დამოკიდებულებისა და სულიერების ნაცვლად კი გაბატონდება არაჯანსაღი ურთიერთობები (მანიპულაცია, ინტრიგა, მაბეზღარობა და სხვა).

გასარკვევია რა გვინდა გვქონდეს ახალციხეში (და მთელ საქართველოში) — ფორმალური უნივერსიტეტები, თუ რეალურად გვქონდეს უმაღლესი განათლება, იმ სატელევიზიო სიუჟეტიდანაც კარგად ჩანს, თითოეულმა იქაურმა თანამშრომელმა და სტუდენტმა კარგად იცის, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში კატასტროფული მდგომარეობაა. უნივერსიტეტში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც უნდა გავერკვეთ, რა გვინდა, ვერც ერთი უნივერსიტეტელი ვერ იქნება წინაალმდეგი, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მაგრამ ამისათვის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

**იოლია ისეთი არჩევანი, როდესაც კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვანია: სამომავლო განვითარების პროგრამა, პატიოსანი წარსული. ამომრჩევლისთვის საჭიროა სიმართლე და ამ კრიტერიუმების დაცვა, რასაც ბოლო წლებში ცოტა ვინმე თუ ასრულებდა — პროგრამები იწერებოდა მხოლოდ თვალის ასახვევად და მათ არავინ კითხულობდა, არჩევნებიც ფორმალურად ტარდებოდა. ეს ახალციხელებმაც კარგად იციან და მეც საკმაო გამოცდილება მაქვს ამ საკითხში. ასეთი საქციელი დღევანდელ ვითარებაში უნივერსიტეტის პრინციპების ღალატია. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის წინაშე, პირველ რიგში, ჩვენ, პროფესორები ვართ პასუხისმგებელნი, რადგანაც ჩვენი სტატუსიდან გამომდინარე გვაქვს გააზრებული არჩევანის გაკეთების უნარი და ვალდებულება, მით უმეტეს, რომ განსხვავებით, მაგ., საპრეზიდენტო არჩევნებისაგან, სადაც ამომრჩეველს ვერავინ დაუშლის აირჩიოს ან არ აირჩიოს კანდიდატი მისი ღირსების თუ ნაკლის მიუხედავად, ჩვენ ვირჩევთ ჩვენს მიერვე შედგენილი მკაცრი კრიტერიუმების მიხედვით. აქ კი, ხმამაღლა ვაცხადებ საქმეში ჩაუხედავთა გასაგონად, უმთავრესი რექტორობის კანდიდატთა სამოქმედო პროგრამებია, მათ განვლილ გზასთან ერთად.**

**ახლა კი ძირითადი საკითხის შესახებ:**

წინა ხელისუფლებათა პირობებში უნივერსიტეტებში (განსაკუთრებით **ახალციხეში**, რომელიც 2005 წლამდე მესხეთის ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის, ხოლო 2005 წლის შემდეგ სხვა ადგილობრივი, უფრო „მნიშვნელოვანი“ პერსონის ვანო მერაბიშვილის კლანის „საძოვრად“ იყო ქცეული და აქაურობაც, უკეთესი მომავლის მოლოდინში დუმდა) ხდებოდა იდეოლოგიურად პოლიტიზებული (ან ფსევდო-პოლიტიზებული), ცენტრალური მიმართულება გახლდათ ფინანსების არასწორად გამოყენება. ჩვენი პრობლემა დღესაც ესაა, როდესაც ფსევდო-ოპოზიციონერობის მომიზეზებით: დამკვიდრდა წარსული — ამჯერად უკვე რექტორის რანგში დარუნდა მერაბ ბერიძე, რომელმაც თავის დროზე მიგვიყვანა ამგვარ მდგომარეობამდე სამხრეთ საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების პროგრესული იდეა ლამის დაასამარა. თითოეულ ჩვენგანს ასარჩევი აქვს ზნეობასა და უზნეობას, პატრიოტიზმსა და ფსევდო-პატრიოტიზმს შორის. ტელესტუდია „ობიექტივის“ ეთერში გაჟღერებული და სხვა მრავალი ფაქტის შესახებ სამცხე-ჯავახეთში და მის ფარგლებს გარეთ ბევრმა ბევრი რამ იცის, მაგრამ სწორედაც საკითხის პოლიტირების გამო ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას. იმ დღეს კი გადაცემაში შიშისგან გათავისუფლებულმა მესხებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი. ამის მსურველი კიდევ ბევრი იქნებოდა, თავად კრიტიკის ადრესატი რომ გამოჩენილიყო ცისფერ ეკრანებზე. იქ მოყვანილი ფაქტები ზღვაში წვეთია რეალობასთან შედარებით.

ფსევდო-პატრიოტობასა და ოპოზიციონერობაზე მოგახსენებდით და ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ადრესატის მერაბ ბერიძის გამონათქვამები სამხრეთ საქართველოში ვითომ სუფთა ქართული სამყაროს შექმნის შესახებ. ეს ისე სათქმელად, თორემ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, ეროვნული გრძნობებითაც მშვენივრად ვაჭრობდა უმცირესობების წარმომადგენლებთან. რაც შეეხება ოპოზიციონერობას, აქ ბატონ ბერიძეს ვანო მერაბიშვილის მიერ მისი დაკავების ვითომდა პოლიტიკური მიზეზი მოჰყავს და ამით აცოდებს თავს მავანთ. ნამდვილი მიზეზების შესახებ რატომღაც არავინ საუბრობს და ერთი კაცის გარდა ხმამაღლა არავის დაუსვამს კითხვა — აგრერიგად შერისხული კაცი როგორ აღდგა სრულ პროფესორად ერთდროულად ორ უნივერსიტეტში, და როგორ მოეწყვნენ მისი შვილები სახელმწიფო სამსახურში, როგორ ახერხებდა ასე თავისუფლად „ოპოზიციონერობას“, მაშინ როდესაც ვანოს გარეშე ჩიტიც კი ვერ გადაიფრენდა იმ მხარეში, ან სად იყო ბატონი ბერიძე წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც თბილისელ ოპოზიციონერ პროფესორებს პირს არიდებდა, შემთხვევით რომ არ გადაყროდა... ეს და ბევრი სხვა კითხვა მაწუხებს, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რა მანქანებით, ვისი დახმარებით ცდილობს „იმიჯისა“ და გავლენების აღდგენას ვითომ შერისხული დირექტორყოფილი რექტორი? რამდენად მართალია ხალხში მოარული ჭორი რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელ პირებსა და რექტორის მოვალეობის შემსრულებელს შორის არსებული გარიგების შესახებ და თუ ასეთი არ არსებობს, როგორ და რა მოსაზრებით დაუშვა სამართლიანობისათვის მებრძოლმა პარტიამ (მათივე განცხადებით — 35 წელია ამისთვის თავს არ ზოგავენ) და პირადად ამ პარტიის წარმომადგენელმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ დავით ზურაბიშვილმა ამგვარი უმსგავსობა?

როგორც ვატყობ, სტუდია „ობიექტივის“ მიერ მომზადებული გადაცემა მცირედი გუნდაა, რომელიც სულ მალე შეიძლება ზვავად იქცეს და ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებელია თავად უნივერსიტეტის პროფესურამ, აკადემიურმა საბჭომ აიღონ თვის თავზე პასუხისმგებლობა და გადაწყვიტონ რას და ვის აძლევენ ხმას: მომავალს თუ წარსულს, იმედს თუ უიმედობას!!!

**გიორგი ჟუჟუნაშვილი**

**თსუ ისტორიის დოქტორი, პროფესორი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ბიძინა ივანიშვილი:

# მხოლოდ ჩემი ქვეყნის ბედი მაღელვებს

**2011 წლის ოქტომბერში გადაწყვიტა პოლიტიკური ჩრდილიდან გამოსვლა, როდესაც გამოაქვეყნა სენსაციური სტატია საკუთარ ღრმა იმედგაცრუებაზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ.** ერთი წლის შემდეგ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილმა წარმოუდგენელი შეძლო: ოპოზიციური პარტიის „ქართული ოცნების" კოალიციამ დაამარცხა სააკაშვილის პარტია, რომლის რვაწლიანი მმართველობა ბევრ კითხვას აღძრავდა, მათ შორის — უპერსპექტივო ომის შესახებ რუსეთთან. სააკაშვილი, რომელმაც მოისურვა ძალაუფლების შენარჩუნება და ამ მიზნით შეცვალა კონსტიტუცია, დამარცხდა.

**„სინამდვილეში ის პატივს არ სცემდა საქართველოს კანონებს. ის ნიჭიერია, მან მოატყუა მთელი მსოფლიო. პირველები, ვინც მოატყუა, იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. ის მოვიდა, როგორც დემოკრატი. მას ყველა მხარს უჭერდა და მერე კი მიხვდნენ, რომ ის აშენებდა ავტორიტარულ რეჟიმს. ხელისუფლების ძალადობა მთელ ქვეყანას მოედო. მან დაშალა ოპოზიცია, ელიტური კორუფცია ყვაოდა. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, აღმოვაჩინეთ, რომ ყველა კერძო ბიზნესი სრულიად ემორჩილებოდა მთავრობას, არ არსებობდა თავისუფალი ბიზნესი. საქართველოს მთავარი პროკურორი გახდა ხაზინის გამგებელი და ისინი ითვლიდნენ ფულს, რომელსაც იღებდნენ მოქალაქეებისა და ბიზნესმენებისგან.**

**ის აკონტროლებდა მასმედიას. შინაარსის მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო თავისუფალი და ამას აჩვენებდა ის დასავლეთის წინაშე."**

სააკაშვილი ბევრად უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე მისი წინამორბედი შევარდნაძე. მისი მმართველობის პერიოდში ხელისუფლება იყო ბევრად უფრო აგრესიული მოქალაქეებთან ურთიერთობაში. არსებული სისტემის გამო, რომელშიც არ ხდებოდა ობიექტური გამოძიება, ბევრი დაიღუპა ან დაშავდა ფიზიკურად.

დასავლეთში და განსაკუთრებით ამერიკის მმართველ წრეებში არ სურდათ, დაენახათ, რის ფასად უჯდებოდა საქართველოს მოსახლეობას ეს ყველაფერი: კორუფცია ყვაოდა ხელისუფლების სათავეებში, ოპოზიცია ითრგუნებოდა, ილახებოდა სიტყვის და საკუთრების უფლება, სასამართლო სიტემაში ირღვეოდა კანონები.

ამაზე მეტყველებს ევროპის ადამიანთა



უფლებების სასამართლოს დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლების შტოები, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მოქმედებდნენ უსამართლოდ.

**„არ შეიძლება იმის თქმა, რომ სააკაშვილი არაფერ შუაშია. ის პირველი პირია ქვეყანაში და მან აირჩია თავისი გარემოცვა და კოლეგები. მეორე, ჩვენ საერთოდ არ გაგვაჩნდა პოლიტიკური კულტურა, რადგან არ ვიყავით დამოუკიდებლები. მე გეთანხმებით, რომ ადვილი არაა დემოკრატიაზე გადასვლა. საჭიროა ისწავლო, როგორ მართო ქვეყანა. საქართველო ამ მომენტისთვის არ ფლობს საჭირო უნარს. მთავრობამ უნდა ისწავლოს ძალაუფლების დათმობა და შექმნას კანონები, რომლებიც მოახდენენ ძალაუფლების დელეგირებას მოქალაქეებზე,**

**მუნიციპალიტეტებზე და საკრებულოებზე. ქართველი ერი მრავალი საუკუნის კულტურას ითვლის. ჩვენ ვისწავლით, როგორ ვმართოთ ჩვენი ქვეყანა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ დრო".**

**სააკაშვილსაც ხომ არ დაიჭერენ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?**

**„სააკაშვილი იყო პასუხისმგებელი პირი, ის თავად იღებდა გადაწყვეტილებებს. არ მინდა, რომ ის დააპატიმრონ, თუმცა, გამორიცხული არაფერია. არსებობს პროკურატურა, სასამართლო და კანონი ყველასათვის ერთია. მე არ ვაპირებ მასთან მოლაპარაკებების წარმოებას."**

### ბიზნესმენების გადაგდება

**როგორც ცნობილია, ოქტომბერში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები და სააკაშვილი უქმნის სირთულეებს პრემიერ-მინისტრს: ის აბრკოლებს ელჩების დანიშვნის პროცედურას და სატელევიზიო გამოსვლებში აკრიტიკებს პრემიერ-მინისტრს. დიდი საშიშროებაა იმისა, რომ სააკაშვილი არ დათმობს პრეზიდენტის სავარძელს და დაპირისპირება გამძაფრდება არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად.**

ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ყველაზე რთული პერიოდი უკან დარჩა.

**„სააკაშვილის მომხრეებს სურდათ, შეენარჩუნებინათ საპროტესტო მუხტი, თუმცა, მათი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ხალხი მიხვდა, რომ ეს მთავრობა კარგია. სააკაშვილის ხალხი ვერ შეძლებს მობილიზებას არჩევნებამდე მიუხედავად სურვილისა და გამოცდილებისა. ყველა ხვდება, რომ აღარ იქნება დაპირისპირება ქუჩებში"** — ამბობს ივანიშვილი.

**ელი ბერდენშტეინი,**
„სოფ შავუა"

# ივანიშვილს განზრახული აქვს პოლიტიკა სააკაშვილის შემდეგ დატოვოს

**„ქართული ოცნების" ლიდერმა თავისი მოულოდნელი განცხადებით მმართველ კოალიციაში თავისი თანამებრძოლებიც კი გააოცა**

**მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მთავრობას ჩაუდგა სათავეში, განსაზღვრა თავისი პოლიტიკური კარიერის დამთავრების დრო. ის ადრეც საუბრობდა, რომ ხელისუფლებაში ცოტა ხნით მოვიდა, რათა წერტილი დაუსვას მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას. მაგრამ ამჟამად მან შეძლო, გაეოცებინა საკუთარი თანამებრძოლებიც კი. ივანიშვილმა 23 ივნისს განაცხადა, რომ „დატოვებს პოსტს ზუსტად რამდენიმე დღის შემდეგ პრეზიდენტის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ". არჩევნები, წინასწარი გამოკითხვის თანახმად, იოლად უნდა მოიგოს კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან", ამჟამინდელმა ვიცეპრემიერმა გიორგი მარგველაშვილმა. ივანიშვილი დაგვპირდა თავის შემდეგ დატოვოს „ახალი ღირსეული პრემიერი".**

მისი ვინაობა ივანიშვილს არ დაუსახელებია. მმართველ კოალიციაში ჩვენს გაზეთს განუცხადეს, რომ ჯერ არ უზრუნიათ ამ პოსტზე კანდიდატის შერჩევისთვის, მაგრამ ივანიშვილის განცხადება გვაიძულებს, ვიფიქროთ უკვე ამჟამად.

**— „ქართული ოცნების" ლიდერი ყოველთვის იმეორებდა, რომ პოლიტიკაში ჩაერთო იძულებით. ნებისმიერ შემთხვევაში საკითხი მისი ნებაყოფლობითი დატოვების შესახებ უნდა განიხილონ კოალიციაში,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის ვიცესპიკერმა ზვიად ძიძიგურმა.

ამავე დროს, მისი სიტყვებით, „ქართული ოცნება" ნებისმიერ შემთხვევაში შეასრულებს ყველა წინასაარჩევნო დაპირებას.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლებელი გახდება, რომ ივანიშვილი დაემშვიდობოს პოლიტიკას. ქალბატონი ეკას სიტყვებით, „ეს არის მაგალითი სხვებისთვის, როდესაც ჩინოვნკები არ ებღაუჭებიან სავარძლებს.

**— არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილი უკვე თავადაც წუხს, რომ ასეთი განცხადება გააკეთა. შესაძლებელია, მას კარგად ვერ გაუგეს. მაშინ სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს ოფიციალური განცხადებები. სააკაშვილის პარტიასთან „ქართული ოცნების" ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა,—** უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრმა რამაზ საყვარელიძემ.

ასეთ შემთხვევაში, მისი აზრით, „მთავარსარდლისთვის ნაადრევია ბრძოლის ველის დატოვება". ეს შეიძლება აისახოს პოლიტიკურ წყობაზე არა მმართველი კოალიციის სასარგებლოდ. ცხადია, რომ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დიდად გაიხარებს. ამას გარდა, რეფორმები ქვეყანაში მხოლოდ დაიწყო. ისინი მიყვანილი უნდა იქნენ დასასრულამდე,— მიაჩნია საყვარელიძეს.

არჩევნებზე ქართული ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტულად ივანიშვილს აძლევდა ხმას, სჯეროდა, რომ მისი პირადი მიღწევები ბიზნეს-სარბიელზე მოახდენენ ტრანსფორმირებას მთელი ქვეყნის წარმატებებში.

ივანიშვილის სიტყვებმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მისცა შესაძლებლობა, დაეწყოთ საუბარი იმის შესახებ, რომ პრემიერი იქცევა უპასუხისმგებლოდ. პარლამენტარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" დავით დარჩიაშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ ივანიშვილი მოქმედებს პრინციპით „ჩემს შემდეგ თუნდაც წყალს წაუღია ყველაფერიო". თავად კი სურს, ამ ქაოსს გვერდიდან უყუროს.

**ამავე დროს ქართველი პოლიტოლოგები უკანასკნელ პერიოდში არ გამორიცხავენ, რომ „ქართულმა ოცნებამ" მოამზადა „სააკაშვილის პარტიის პოლიტიკური განადგურების სათადარიგო ვარიანტი", — პარლამენტის ვადამდელი არჩევნები, რომელიც შეიძლება გაიმართოს მალე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. მმართველ კოალიციაში ღიად საუბრობენ, რომ 40 პროცენტი, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" მიიღო შარშან ოქტომბერში არჩევნებზე, არ ასახავს ამ მოძრაობის რეალურ რეიტინგს — მას ამჟამად ქართველების 10 პროცენტზე ნაკლები უჭერს მხარს. მის შემდგომ დაცემაზე გავლენა მოახდინა ვიდეო სკანდალმა წინა ხელისუფლების მიერ ოპონენტების წამების ახალ ფაქტებთან დაკავშირებით.** იმის შესახებ, რომ შეიძლება ხელახლა გაიმართოს კენჭისყრა, უკვე ისაუბრეს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მანანა კობახიძემ, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე იოსებ ჯაჭვლიანმა და ზოგიერთმა სხვა დეპუტატმა.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ყატარში ხელისუფლება შეიცვალა: ამირამ უარი განაცხადა ტახტზე შვილის სასარგებლოდ, რომელიც ისლამისტებთან არის დაკავშირებული**

ხელისუფლების გადაცემის შესახებ გამოცხადდა ამირას ერისადმი მიმართვის დროს. მიაჩნიათ, რომ ამისთვის მას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უბიძგა. დასავლეთში იმედი აქვთ, რომ ახალი მმართველი ყატარს უფრო საეროსა და ლიბერალურს გახდის. მაგრამ პრინცი თამიმი ცნობილია თავისი კავშირურთიერთობებით „მუსლიმან ძმებთან" და შეიძლება შეცვალოს ყატარის პოლიტიკა სირიასთან დაკავშირებით.

* * *

**ჰამიდ კარზაის ჟურნალისტებთან შეხვედრის წინ ქაბულში პრეზიდენტის სასახლეს ბოევიკებმა შეუტიეს**



უცნობი შეიარაღებული ადამიანები სამშაბათს დილით ადრე ასევე თავს დაესხნენ სასტუმრო „არიანას" ავღანეთის დედაქალაქში. ქალაქის ცენტრში გაისმა სროლისა და აფეთქების ხმა. მოძრაობა „თალიბანმა" უკვე იკისრა პასუხისმგებლობა შეტევაზე, განაცხადა, რომ მთავრობის შენობებს თავს დაესხა მოჯაჰედ-თვითმკვლელების ჯგუფი.

* * *

**ლიბანის სამხრეთ დედაქალაქში ჩაახშვეს ისლამისტების ამბოხება: დაიღუპა 16 სამხედრო, 100-ზე მეტი დაჭრილია**



ათობით ბოევიკი ჩაბარდა ჯარების მიერ იმ კვარტალის იერიშის შემდეგ, რომელიც ისლამისტების საყრდენად ითვლებოდა. მაგრამ მათმა მეთაურმა — რადიკალურმა სუნიტურმა მოძღვარმა შეიხმა აჰმედ ალ-ასირიმ შეძლო გაქცევა. ზოგიერთი მონაცემებით, ის სირიაში გაიქცა.

* * *

**ცენტრლური აფრიკის რესპუბლიკაში ოქროს მოპოვების საბადო ჩამოინგრა: დაიღუპა 37 კაცი**

საგანგებო შემთხვევა ქალაქ ნდასიმში მოხდა (ქვეყნის დედაქალაქიდან 450 კილომეტრზე, აღმოსავლეთით). წინასწარი ვერსიით, ტრაგედიის მიზეზი გახდა ხანგრძლივი წვიმები, რომლებმაც ნიადაგი ჩამორეცხეს. მსხვერპლთა ოდენობა შეიძლება გაიზარდოს: ბევრი გადარჩენილი მძიმე მდგომარეობაში.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თეატრალური მოვლენები



# ოდა მაესტროს და მის უდიდებულესობა მსახიობს

სტურუა დაბერდა.

სტურუას შემოქმედებითი კრიზისი აქვს.

სტურუას მსახიობი არ უყვარს.

სტურუა დაბრუნდა, მაგრამ ახალს, განსაკუთრებულს ვეღარაფერს შექმნის...

არ მეცოდებიან ადამიანები(თეატრმცოდნეთა გარდა) , რომლებიც ამას ამბობდნენ!

არ მეცოდებიან, რადგან აქვთ ბრწყინვალე შანსი, წავიდნენ ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე ახლად გახსნილ „თეატრ – ფაბრიკაში“ და დარწმუნდნენ, რომ:

სტურუა ყველაზე ახალგაზრდა რეჟისორია საქართველოში (იქნებ მთელი დედამიწის ზურგზე!);

სტურუამ თავისი შემოქმედების ახალი ეტაპი დაიწყო;

სტურუას ძალიან უყვარს მსახიობი;

სტურუამ შექმნა მორიგი შედევრი, რომელიც თამამად დაუდგება გვერდით „კავკასიურს“, „რიჩარდს“, „ყვარყვარეს“...

ეს ისეთი სპექტაკლია, ყველაზე ურწმუნო თომასაც რომ დაარწმუნებს, ყველაზე ავად განწყობილსაც რომ კეთილად შემოაბრუნებს, გაახარებს, ააღელვებს, აღაფრთოვანებს...

სპექტაკლს „მარია კალასი. გაკვეთილი“ ჰქვია.

მარია კალასის როლს ლელა ალიბეგაშვილი თამაშობს.

თამაშობს?!

თეატრი, რა თქმა უნდა, თამაშია. მარია კალასის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, იქ ხშირად გვატყუებენ.

ლელა ალიბეგაშვილი არაფერს გვატყუებს. საათნახევრის განმავლობაში ის მარია კალასია. გაკვეთილს უტარებს სტუდენტებს – მომავალ მომღერლებს. ამ არაჩვეულებრივ გაკვეთილზე ჩვენს თვალწინ მთელი მისი ცხოვრება გაივლის, მისი დიდება და ბრწყინვალებაც გამოჩნდება და ტრაგიკული ბედიც. მსახიობი ღრმა და ფაქიზი ნიუანსებით დაგვანახვებს დიდი მომღერლის ძლიერებასა და „სისუსტეს“, მის სიმამაცესა და ცრემლებს.

ლელა ალიბეგაშვილი უდავოდ ნიჭიერ მსახიობად გვეგულვოდა, მაგრამ ამდენად ნიჭიერი, ვფიქრობ, მაინც არავის ეგონა, იქნებ, თვითონაც კი. არავის, ალბათ, სტურუას გარდა!

ეს სულ სხვა რანგია, სულ სხვა ხარისხი და მასშტაბი. თამაშის (თამაშის?!) სულ სხვა დონე!

არ მიყვარს ძახილის ნიშანი მაგრამ, ამჯერად, უმისოდ ვერ ვწერ!

რამდენი ფერი ჰქონია ამ მსახიობის ნიჭს, ისევე, როგორც მარია კალასის ხმას!

რამდენი გრადაცია – სახასიათოდან, კომედიურიდან ტრაგიკულამდე!

რას აღარ იტევს იგი – იუმორს, ირონიას, სევდას, სიხარულს, სითბოს. განრისხებას...

ხან გაგაცინებს, ხან აგატირებს, ხან დაგამშიდებს, ხან აგაღელვებს...

მოკლედ, საათნახევრის განმავლობაში, მისი ტყვე ხარ, მასზე უზომოდ შეყვარებული. შეყვარებული კალასზეც და ალიბეგაშვილზეც.

მონუსხული!

შეძრული!

აღტაცებული!

რა შესძლებია დიდ ხელოვნებას!

ხშირად ვამბობთ: „ეს არ არის „საკასო“ წარმოდგენა.“ ვგულისხმობთ იმას, რომ სპექტაკლი ელიტურია და მხოლოდ პროფესიონალები თუ დააფასებენ.

რობერტ სტურუამ გვაჩვენა, რომ სპექტაკლი ერთდროულად შეიძლება იყოს ელიტურიც და ყველასთვის გასაგებიც.

„,ნადირობის სეზონზე“ ამას ვერ ვიტყოდით. ის ელიტური იყო, მაგრამ ჩვეულებრივი მაყურებლისთვის ბევრ ძნელად ასახსნელ „რებუსს“ შეიცავდა.

ეს სულ სხვა სპექტაკლია.

ასეთი სპექტაკლი „ციდან იშვიათად ვარდება.“

მოდით და ნახეთ, როგორ უყვარს სტურუას მსახიობი!

ლელა ალიბეგაშვილი, კი ბატონო, ნიჭიერია, მაგრამ ამ რანგს, ამ ხარისხს მხოლოდ სტურუას დახმარებით თუ მიაღწევდა.

დიდი რეჟისორი „მოკვდა“ მსახიობში, მაგრამ დიდ რეჟისორად დარჩა. ის სწორედ რეჟისურის ენით გვესაუბრება. აქ მხოლოდ აუცილებელ სიტყვებს წარმოთქვამენ, ოღონდ, კი არ ლაპარაკობენ, მოქმედებენ. სიტყვას მაგიურ სცენურ ძალას ანიჭებენ.

აქ მთავარი ლელა ალიბეგაშვილია – მარია კალასი ვის არ დაჩრდილავს, მაგრამ სხვა მსახიობების თამაშითაც უეჭველად მოიხიბლებით. შესანიშნავი პარტნიორები არიან დავით დარჩია, დავით უფლისაშვილი, არჩილ გოგიტიძე, ლელა ახალაია, ქეთი სვანიძე.

მირიან შველიძის მხატვრობაც კიდევ ერთხელ აღგაფრთოვანებთ.

ჩასაფრებულნი ახლა ერთ რამესღა თუ იტყვიან: კი, მაგრამ რუსთაველის თეატრი?!

ჯერ ერთი, ესეც რუსთაველის თეატრია! მეორეც: მოვიცადოთ შემოდგომამდე. სტურუა იმ სცენაზეც მორიგ სასწაულს მოახდენს.

შევიტკბოთ ის ბედნიერება, რომ ასეთი რეჟისორი გვყავს!

დიდი მაესტრო!

**იოსებ ჭუმბურიძე**

ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია!..

# რეგიონებში ადამიანები უფასო სასადილოების რიგში დგანან

**უფასო სასადილოებით საქართველოში ათასობით ადამიანი ვერ სარგებლობს. ამ მხრივ პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებშია, სადაც უფასო სასადილოების დეფიციტია.**

ზოგიერთ რაიონში თითო უფასო სასადილო მუშაობს, საუკეთესო შემთხვევაში - ორი. ზოგან კი ასეთი ობიექტის არსებობა ხალხს სანატრელი აქვს. მაგალითად, აჭარაში, ბათუმში, გასულ თვეში ბენეფიციართა რაოდენობა 300-მდე გაზარდეს, ხოლო სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში, მაღალი მოთხოვნის გამო, ახალი უფასო სასადილოს გახსნის აუცილებლობაა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსის გოგი რევიას ინფორმაციით, ქალაქში ერთი უფასო სასადილოა და 2014 წლიდან დამატებით ერთი სხვა უბანში გაიხსნება. ზუგდიდის ერთადერთი უფასო სასადილო 200 ბენეფიციარს ემსახურება.



**– ერთჯერადი კვებაა. სასადილო კვირა დღეს არ მუშაობს. მოთხოვნა, რა თქმა უნდა, მეტია თუნდაც იმ ფონზე, რომ ბევრია სოციალურად დაუცველი, რომელსაც ასეთი მომსახურება სჭირდება. საჭიროებიდან გამომდინარე, ვგეგმავთ ახალი სასადილოს გახსნასაც. ზუგდიდში უფასო სასადილო ცენტრალურ უბანში მდებარეობს. ჩვენი დიდი სურვილია, კიდევ ერთი ასეთი დამატებით სხვა უბანშიც გაიხსნას. წელს ვეღარ მოესწრება, რადგან ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, თუმცა 2014 წლის ბიუჯეტზე მუშაობისას აუცილებლად გავითვალისწინებთ,** – აცხადებს რევია.

ზუგდიდში სხვა პრობლემებიცაა. მაგალითად, უფასო სასადილოთი მოსარგებლე 23 პირი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არ არის, 20 ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კი სახელმწიფოს მიერ დაწესებულზე მაღალი სარეიტინგო ქულითაა შეფასებული. გარდა ამისა, სასადილოთი ვერ სარგებლობენ უსახლკაროები და პირადობის მოწმობის არმქონე პირები. სასადილოთი სარგებლობის უპირატესობა კი, დადგენილი წესით, 57 ათასზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე მარტოხელა, მარჩენალდაკარგულ და მრავალშვილიან ოჯახებს გააჩნიათ.

**სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის წარმომადგენელს ნუგზარ გაბელიას მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს სასადილოთი მოსარგებლეთა შერჩევის კრიტერიუმი, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ვინმესთვის უფასო სასადილოთი სარგებლობის აკრძალვის მიზეზი და სამართლიანობის პრინციპი უნდა იყოს დაცული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსს გოგი რევიას უფასო სასადილოთი მოსარგებლე ადამიანების შეცვლა მუდმივად ცვალებადი ქულების მიხედვით, არასწორად მიაჩნია. სულ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 11 568 სოციალურად დაუცველია რეგისტრირებული, რაც მოსახლეობის 7%-ს წარმოადგენს.**

უკეთესი მდგომარეობა არც სხვაგან არის. რუსთავში, რჩეულიშვილის №10-ის საერთო საცხოვრებელში ქრისტინა კავოიანი 5 მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს. ბავშვებიდან ყველაზე უფროსი 11 წლისაა, ხოლო ყველაზე პატარა – 3-ის. ამბობს, რომ შვილები მის გვარზე არიან, ყოფილი მეუღლე კი არაფრით ეხმარება.

ოჯახი სოციალურად დაუცველია, სოციალური დახმარება კი მათთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროა. კავოიანი ამბობს, რომ უჭირთ თვიდან თვემდე 270 ლარით თავის გატანა. უფასო სასადილოთი კი ვერ სარგებლობენ. მისი თქმით, დიდი ხანია, უფასო სასადილოს ტალონის მოლოდინში არიან, მაგრამ ჯერ მათთვის ადგილი არ განთავისუფლდა.

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლის ნინო ლომთათიძის ინფორმაციით, ბათუმში ამ ეტაპზე 5 უფასო სასადილოა, რომელიც 2100 ბენეფიციარს ემსახურება.

**– სამი უფასო სასადილო ქალაქშივეა, ხოლო 2 სასადილო ბათუმის ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ბათუმის უფასო სასადილოებში 2100 ბენეფიციარია. ყველა მათგანი არის სოციალურად დაუცველთა კატეგორიის, რომელთაც 0-დან 57 000-მდე ქულა ერიცხებათ. მათ რიცხვშია დევნილები, მარტოხელები და მოხუცები. მოთხოვნილების მიხედვით, ბენეფიციართა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს.**

**ყოველთვიურად ვახორციელებთ მონიტორინგს, ვისაც გაუმჯობესებული მდგომარეობა აქვს და მაღალი ქულები დაეწერათ, სარეზერვო სიიდან ახალი მოსარგებლეებით ვანაცვლებთ.**

**ამ დროისთვის დამატებით 100 განაცხადია, შევეცდებით, მათი მოთხოვნა თვის ბოლომდე დავაკმაყოფილოთ. როდესაც გვაქვს შესაძლებლობა, ბენეფიციართა რაოდენობას ვზრდით, მაგალითად, წინა თვეში 300 ადამიანი დაემატა. მსგავსი ღონისძიებები მუდმივად ტარდება“,** – აცხადებს ნინო ლომთათიძე.

**ეკა ბაქრაძე**

რაც კარგია, კარგია!

## სოფელ ლასურიაში ახალი ხიდები გაიხსნა

**ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაში მდინარე ცხენისწყალზე ერთი ახლად აშენებული და ასევე, რეაბილიტირებული ხიდები გაიხსნა.**

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, გახსნას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ელგუჯა ხოკრიშვილი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

**სოფელ ლასურიაში მდინარე ცხენისწყალზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდმა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განახორციელა.**

**პროექტის საერთო ღირებულება 3,081,463.25 ლარია. ხიდის რეაბილიტაცია 2012 წლის 16 სექტემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის მაისში დასრულდა. ობიექტზე მშენებლობას ქართული კომპანია – შპს „მამისონი“ ახორციელებდა, პროექტის ფარგლებში ადგილზე ჯამში 72 ადამიანი იყო დასაქმებული.**

**ლასურიას ხიდის რეაბილიტაციის შედეგად ცაგერის მუნიციპალიტეტის რვა სოფელი მუნიციპალურ ცენტრს დაუკავშირდა. მდინარე ცხენისწყლის ადიდების დროს აღნიშნული სოფლები გარესამყაროსგან მოწყვეტილი ხდებოდა, ხოლო სოფლების მცხოვრებლებს შემოვლითი გზით უხდებოდათ სარგებლობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები რვა თვის განმავლობაში ხორციელდებოდა. პროექტის ფარგლებში მოხდა არსებული ხიდის 42 მეტრით დაგრძელება, ხიდის საერთო სიგრძე ჯამში 147 მეტრია. ასევე, სახრაველას ხევზე მოხდა 18-მეტრიანი ახალი ხიდის მშენებლობა. რეაბილიტაციის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და მოეწყო ბეტონის დამბა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ჭადრაკი**



# ფინიშამდე სამი ტურით ადრე

**დილიჟანში (სომხეთი) მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის მეორე რაუნდში სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი მონაწილეობს. ასპარეზობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:**

ჰამფი კონერუ (ინდოეთი) – 6, ანა მუზიჩუკი (სლოვენია) – 5,5, ნანა ძაგნიძე (საქართველო), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) – 4,5-4,5, ანა უშენინა (უკრაინა), თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი), ოლგა გირია (რუსეთი) – 4-4, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) – 3,5-3,5, ბელა ხოტენაშვილი (საქართველო), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) – 3-3, ელინა დანიელიანი (სომხეთი) – 2,5.

**გუშინ მოჭადრაკეებმა დაისვენეს. დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ:** უშენინა – ჩმილიტე, კოსინცევა – დანიელიანი, ხოტენაშვილი – დრონავალი, მუზიჩუკი – ბათჩიმეგი, სტეფანოვა – გირია, კონერუ – ძაგნიძე.

**გივი გაგუა**

**რაგბი**

# „შვიდკაცას“ 12 რჩეული

**მომავალ შაბათ-კვირას მოსკოვი შვიდკაცა რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. მედლებისთვის 24 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. D ჯგუფში საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიის, კანადისა და აშშ-ს გუნდებს გაუწევს მეტოქეობას.**

„შვიდკაცა ბორჯღალოსნების“ მწვრთნელებმა – კახა ალანიამ და პალიკო ჯიმშელაძემ რუსეთის დედაქალაქში საბრძოლველად გიორგი ჯიმშელაძეს, ბახვა კობახიძეს (ორივე– „არმია“), ბიძინა სამხარაძეს („ტიმიშოარა“), მერაბ კვირიკაშვილს („სენ ჟუნიენი“), ალექსანდრე თოდუას („ალბი“), ვიქტორ კოლელიშვილს („ლიონი“), რევაზ გიგაურს („მონლუსონი“), შალვა მახარაშვილს („ბათუმი“), ირაკლი გეგენავას („ლელო“), მერაბ შარიქაძეს („აკადემია“), ზურაბ ძნელაძესა და გიორგი ფრუიძეს (ორივე – „აია“) უხმეს.

აქვე მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებსაც გაგაცნობთ:

A **ჯგუფი:** ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ტუნისი.

B **ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, რუსეთი, იაპონია.




C **ჯგუფი:** სამოა, კენია, ზიმბაბვე, ფილიპინები.

D **ჯგუფი:** ახალი ზელანდია, კანადა, აშშ, საქართველო.

E **ჯგუფი:** ფიჯი, უელსი, ტონგა, ურუგვაი.

F **ჯგუფი:** ინგლისი, არგენტინა, პორტუგალია, ჰონგ-კონგი.

**28 ივნისი**

**საქართველო-აშშ**

**29 ივნისი**

**საქართველო-ახალი ზელანდია, საქართველო-კანადა.**

**ლექსო ცინცაძე**

**მემორიალი**

# ძალა ნაძალადევშია

**ამ დღეებში დიდ დიღომში გაიმართა ტრაგიკულად დაღუპული მოზარდი ფეხბურთელის ონისე ბეშიძის ტრადიციული მემორიალი, რომელშიც ბავშვთა 6 გუნდი მონაწილეობდა (მთავარი მსაჯი გია გურგენიძე).**

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციისა და სპორტულ კლუბ „მორკინალი – 2011“-ის ინიციატივით მოწყობილი ხსოვნის ტურნირის გამარჯვებული ნაძალადევის მოსწავლეთა ნაკრები გახდა (მწვრთნელები გიორგი კალანდაძე, გიორგი ყაჭეიშვილი), რომელმაც ფინალში დამატებით დროში სძლია გლდანელ თანატოლებს (გია ბეგიაშვილი, ამირან სხილაძე). აღსანიშნავია მევლუდ ლაშაურის გაწვრთნილ ავჭალელთა კარგი თამაშიც, რომლებიც III პრიზიორები გახდნენ.

**გიორგი შოთაძე**



**ნიჩბოსნობა**

# ისინი ევროპაზე გამოვლენ

**პოლონური პოზნანი ამ უქმეებზე 18-23 წლის ნიჩბოსანთა ევროპის პირველობებს უმასპინძლებს. ქართველთაგან შეჯიბრებაში სამი სპორტსმენი იასპარეზებს:** ზაზა ნადირაძე (მცხეთა, კანოე), ბადრი ყაველაშვილი (თბილისი, ბაიდარა) და გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი, კანოე). ისინი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და სომხეთ-აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები არიან. მათგან უფრო გამოცდილია ზაზა ნადირაძე, რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონატზე მე-8 ადგილი დაიკავა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურამდე მცირედი დააკლდა. ქართველმა ნიჩბოსნებმა პოლონეთში გამგზავრების წინ გლდანის „თეთრ ტბაზე“ საქართველოს ღია ჩემპიონატში მოსინჯეს ძალები და არაერთი მედალიც მოიხვეჭეს როგორც ერთადგილიანი, ისე ორადგილიანი ნავებით. საგულისხმოა, რომ ქვეყნის ღია ჩემპიონატში სომხებიც მონაწილეობდნენ. გაგაცნობთ ორ ასაკში გამარჯვებულთა ვინაობას:



**1997 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.**

**200 მ და 500 მ**

**კაიაკი (ბაიდარა). გოგონები. ერთადგილიანი.** თეონა შაბურიშვილი (დუშეთი), **ორადგილიანი**. ეკა შაბურიშვილი, მადონა ყარსიმაშვილი (დუშეთი). **ვაჟები. ერთადგილიანი.** ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), **ორადგილიანი.** გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი), ვლადიმირ ალახვერდიანი (სომხეთი).



**კანოე. ერთადგილიანი.** ზაზა ნადირაძე (მცხეთა), **ორადგილიანი.** გიორგი შაბურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი).

**1000 მ.**

**კაიაკი (ბაიდარა). ბიჭები. ერთადგილიანი.** ბადრი ყაველაშვილი, **ორადგილიანი.** გიორგი გოგელაშვილი, ვლადიმერ ალახვერდიანი.

**კანოე. ერთადგილიანი.** ზაზა ნადირაძე, **ორადგილიანი.** გიორგი შაბურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაშვილი.

**1998 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი.**

**200 მ.**

**კაიაკი (ბაიდარა). გოგონები. ერთადგილიანი.** ანა ჯიქურაული (დუშეთი), **ორადგილიანი.** რუსუდან ჯიქურაული, ანა ჯიქურაული (დუშეთი), **ვაჟები. ერთადგილიანი.** გევორქ გეპანიანი (სომხეთი), **ორადგილიანი**. რაზმიკ გევორქიანი, რომან პალატიანი (სომხეთი).

**კანოე. ერთადგილიანი.** მურმან მალანია (ფოთი), **ორადგილიანი.** ვართან ოჰანესიანი, აიკ სტეფანიანი (სომხეთი).

**500 მ.**

**კაიაკი (ბაიდარა). გოგონები. ერთადგილიანი.** რუსუდან ჯიქურაული, **ორადგილიანი.** რუსუდან ჯიქურაული, ანა ჯიქურაული. **ბიჭები. ერთადგილიანი**. რაზმიკ გევორქიანი, **ორადგილიანი**. რაზმიკ გევორქიანი, რომან პალატიანი.

**კანოე. ერთადგილიანი.** მურმან მალანია, **ორადგილიანი.** აიკ სტეფანიანი, ვართან ოჰანესიანი.

**გუნდური.** 1. მცხეთა (510 ქულა), 2. დუშეთი (488), 3. ფოთი (455).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარცხნიდან – ზაზა ნადირაძე, ბადრი ყაველაშვილი და გიორგი შაბურიშვილი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

**მსხვერპლი**

# ტრაგედია ლე მანზე

**ტრაგიკული გამოდგა ლე მანის 24-საათიანი რბოლის დასაწყისი – სტარტიდან მესამე წრეზე, 34 წლის დანიელ ალან სიმონსენს ავარია მოუვიდა, რომლის დროს მიღებული მძიმე ტრავმებიც მისთვის სასიკვდილო გამოდგა. ეს ლეგენდარულ რბოლაში, ბოლო 27 წლის განმავლობაში მომხდარი პირველი ფატალური შემთხვევაა.**




რბოლის მეათე წუთზე, სიმონსენის „ასტონ მარტინი“, მოსახვევ ტერტრ რუჟში მაღალი სიჩქარით ბეტონის კედელს შეასკდა. ექიმების თქმით, სიმონსენს უშუალოდ ავარიის შემდეგ გონება არ დაუკარგავს, ის ექიმებს ესაუბრებოდა კიდეც. მაგრამ ადგილობრივ სამედიცინო ცენტრში გადაყვანის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა.

„ასტონ მარტინის“ შეფმა დევიდ რიჩარდსმა ტრაგიკული ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინა სიმონსენის ოჯახს. ოჯახის წევრებს მისთვის უთხოვიათ, რომ ალანის პატივისცემის ნიშნად, გუნდს რბოლა გაეგრძელებინა. აღსანიშნავია, რომ სიმონსენმა ასპარეზობა GTE Am კლასის პოულიდან დაიწყო. დანიელი მრბოლი ლე მანზე მეშვიდედ ასპარეზობდა და ლე მანის სერიის რბოლებში ერთ-ერთ უსწრაფეს პილოტად იყო მიჩნეული. ლე მანზე მისი საუკეთესო შედეგი აბსოლუტურში მე-12, GT2 კლასში კი მეორე ადგილი (2010 წელს) იყო.

**მანუჩარ გიორგაძე**

**ინტერნეტიდან**

# სიურპრიზი რიტა მონტელასთვის



**ცნობილი ამბავია, რომ იტალიელები ქართველებს ბევრ რამეში გვგვანან. უპირველესად, ჩვენი მსგავსება ხასიათის საერთო შტრიხებითაა განპირობებული. ქართველებმაც და იტალიელებმაც სიძულვილიც და სიყვარულიც გადაჭარბებულად ვიცით და ეს ჭეშმარიტება რამდენიმე დღის წინათ ფლორენციის „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ვინჩენცო მონტელამაც დაადასტურა.**

ვინჩენცოს მეუღლის დაბადების დღის აღსანიშნავად მისთვის საჩუქრის ორიგინალური სახით ჩუქება გადაუწყვეტია და დაბადების დღეს, საღამოს, სახლში უცნაურად შემოსილ და შეღებილ მსახიობებთან ერთად მისულა. ვინჩენცოს ცოლი რიტა მონტელა, როგორც ჩანს, მსგავსი უცნაური სიურპრიზებით არაა განებივრებული და ზღურბლზე დანახული უცნაურად ჩაცმული და შეღებილი ხალხის დანახვაზე ცუდად გამხდარა, მის მოსასულიერებლად ექიმის გამოძახება გახდა საჭირო. მოსულიერებულ რიტა მონტელას კი უთქვამს, რომ აღარ სურს მსგავსი სიურპრიზები და ქმრისგან საჩუქრად უბრალო ყვავილებსაც სიამოვნებით მიიღებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**გაბრაზებულის ჩანაწერები**

# ნაგვის ბუნკერი... სასახლის ფონზე



**რაც არ უნდა იბაქიბუქონ და გულში მჯიღი ირტყან ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, ყვავილოვანი თუ ხილ-ბოსტნეული რევოლუციების შემოქმედებმა, ყველა იმ სიკეთეს, რომელიც ამა თუ იმ სახის ამბოხს, ძალაუფლების ხელიდან ხელში გადასვლასა და ა.შ. ახლავს, იმდენივე თუ არა, შემთხვევათა უმეტესობაში, სიკეთეზე არც ბევრად ნაკლები ბოროტება მოჰყვება ხოლმე. სიკეთეს, ძირითადად, რევოლუციების შემოქმედნი, მათი, ასე ვთქვათ, „ძირითადი შემადგენლობები“ იმკიან ჩვეულებრივ, თუმცა, ხშირად მართლდება ცნობილი გამოთქმაც, რომ „რევოლუცია ნთქავს თავის შვილებს“, რომლის სიბრძნეში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე არაერთხელ ჩვენც დავრწმუნდით.**

სიკეთე-მეთქი, წელან ვთქვი, ბარემ იმასაც გავიმეორებ, რაც თითოეულმა ჩვენგანმა უჩემოდაც მშვენივრად იცის: სიკეთე ყველას თავისებურად, საკუთარი მსოფლმხედველობიდან, პიროვნული თვისებებიდან, გნებავთ, ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ესმის. სიკეთის, თუ შეიძლება ითქვას, „უკულმართად“ გაგებისა და აღქმის ყველაზე ნათელი, უაღრესად მეტყველი მაგალითებია ჩვენში, სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვისპირეთის რეგიონში მოსახლეობის ცხოვრებისა და სოციალური დაცულობის დონის მხრივ ერთ-ერთ ყველაზე „წაქცეულ ქვეყანაში“, უმაღლესი რანგის ჩინოსანთა არაადეკვატურად კეთილმოწყობილი კერძო ცხოვრება თუ მუშაობის პირობები. თავი რომ დავანებოთ მათი ხელფასებისა და პრემიების ოდენობას, უძვირფასესი ავტომანქანებით გადაადგილებას, საზღვარგარეთ სრულიად უსაფუძვლო ვოიაჟებში „წარმომადგენლობითი“ ხარჯის სიდიდეს, ლატაკი ბიუჯეტის ხარჯით აშენებულ სასახლეებსა და რეზიდენციებს, პირად თვითმფრინავებსა და სხვას, მაინც თვალში საცემია მავანთა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წახალისებისადმი, „საქვეყნო აღიარებისადმი“ ლტოლვა, ხოლო სრულიად გაუგებარი მოტივაციით სხვადასხვა პირთა (მათ შორის უცხოელ მოქალაქეთა) დაჯილდოება ჩვენში დიდი ხანია, აღარავის უკვირს. საქართველოში ოდესღაც (დარწმუნებული ვარ, დღესაც!) ყველაზე პრესტიჟული შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების პროცესის ნელ-ნელი პროფანაციის შესახებ ბოლო დროს იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ გამეორებადაც არ ღირს. მაგრამ გვირგვინი, როგორც ჩანს, მაინც ქვეყნის პირველი პირის მიერ ახლახან მიღებული საერთაშორისო ჯილდოა, რომელიც ქვეყანაში სოციალური ყოფის დონის მკვეთრად ამაღლებისა და, რაც არანაკლებ მეტყველია, საკუთარი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის (?!) მიენიჭა.

პატივცემული ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიმართ არანაირი შენიშვნა არ მექნებოდა, რომ არა ერთი, თუმცა კი, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი გარემოება: დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც მშვენივრად უწყიან, რომ სოციალური თანასწორობა ცოდვილ მიწაზე ისეთივე უტოპიაა, როგორც საყოველთაო ბედნიერება, ცხოვრების დასაწყისში ერთნაირი სასტარტო პირობები და ბევრი სხვა მსგავსი რამ. მაგრამ ისიც ხომაა, რომ ყველაფერი შედარებითია და არც ის იწვევს ეჭვს, რომ უკიდურესად შეუსაბამო კატეგორიების ერთმანეთთან შედარება მთლიან სურათს ყოველთვის ისე ამახინჯებს, რომ რეალობის წარმოდგენა გარე დამკვირვებლისთვის სრულიად შეუძლებელი ხდება. ასეა ამ შემთხვევაშიც.

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ გამოცემაში უაღრესად მეტყველი ფოტოსურათი დაიბეჭდა: უკანა პლანზე პრეზიდენტის ავლაბრის პომპეზური რეზიდენცია იყო ფონად, წინაზე კი — ნაგვის ბუნკერში მქექავი არცთუ საპენსიო ასაკის მამაკაცი.

სიტყვას მოჰყვა და ბარემ პენსიაზეც მოგახსენებთ. თქმა არ უნდა: მამაკაცებისთვის 65, ხოლო ქალებისთვის 60 წლის ასაკში დანიშნული 125-ლარიანი პენსია, იცოცხლეთ, გაცილებით მეტია, ვიდრე ასევე „რევოლუციის“ შედეგად მოსული წინას წინანდელი ხელისუფლების დროს იყო, როცა ქვეყანაში კორუფციის, აღებ-მიცემის, პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ სახელმწიფო ქონების გროშებად ხელში ჩაგდების ბუმი ზეობდა.

მერე დრო გავიდა, ხელისუფლება შეიცვალა, კაცობრიობის ათადან-ბაბადან დაუმარცხებელი კორუფცია ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში „თითქმის ამოვძირკვეთ“, თუმცა კი მან, რეალურად, უბრალოდ იერსახე იცვალა. შარშანდლამდე „ღირსეულ“ მავანთათვის მამულების, შენობა-ნაგებობების, საწარმოებისა და ა.შ. სიმბოლურ ფასად „მიყიდვა“, უფრო სწორად კი ჩუქება, რაც, ფაქტობრივად, იგივე ქრთამია, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

წელან ცარიელა ბოთლების, ძველი ტანსაცმლის თუ საჭმლის ნარჩენების ძებნაში ნაგვის ბუნკერში მქექავი მამაკაცი ვახსენე და მერე კორუფციის ისეთი „ბარაქიანი“, მსუყე სფერო გამახსენდა, როგორიცაა მოსახლეობის სურსათით, კვების პროდუქტებით მომარაგება. დღესდღეობით სურსათის ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტის, როგორიც ხორცია, არნახულად მაღალი ფასი ორიოდე წლის წინათ სასაკლაოებისთვის მის მოწოდებაზე არნახული პრივილეგიების მინიჭება გახდა, რის თაობაზე საგაზეთო პუბლიკაციებიც და სატელევიზიო გადაცემებიც მრავლად იყო. სურსათის, მათ შორის, ცხადია, ხორცის ქუჩაში, ანტისანიტარიულ პირობებში გაყიდვა ყოვლად დაუშვებელი რომაა, ამის შესახებ ბავშვებმაც იციან, მაგრამ ამას ფეხის ყოველ ნაბიჯზე რომ ვაწყდებით, ესეც ხომ ცნობილია? მოსახლეობას სურსათი, კვების პროდუქტები სანიტარიული ნორმების დაცვით რომ უნდა მიეწოდებოდეს, დიდმაც და პატარამაც ვიცით, მაგრამ ვინაა კონკრეტულად ამ პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი, რომელი სამსახური არკვევს იმას, თუ რა ეტაპზე ბინძურდება უკვე „დაკანონებულ ჩარჩოებში“ მოქცეული სურსათი ჯანმრთელობისთვის სახიფათო ბაქტერიებით?

ეს ფუნქცია, თითქოს, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მოვალეობაა, მაგრამ, რამდენადაც პრაქტიკა მოწმობს, მისი თანამშრომლები მხოლოდ მიღებულ სიგნალებზე რეაგირებენ (?!), თანაც დამნაშავის გამოვლენის შემთხვევაშიც კი მისი ვინაობის საჯაროდ გამხელის უფლება არა აქვთ (!!). ამ მოვალეობას, თავის დროზე, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები ასრულებდნენ. კორუფცია, რა თქმა უნდა, იქაც იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კონტროლი რეალურად ხორციელდებოდა! ამ სამსახურის გაუქმების მერე, რაც „ვარდების ქარტეხილის“ შემდეგ მოხდა, მის ფუნქციას, არსებითად, არც არავინ ასრულებს, რასაც შედეგები მოწმობს ყველაზე თვალნათლივ.

შუა ივნისის დადგომის მიუხედავად, ნამდვილი სიცხეები, ისეთები, ჩვენში რომ იცის, ეს-ესაა დაიწყო, პაპანაქების ჟამი წინ გველის, სურსათით მოწამვლის შემთხვევებმა კი უკვე შესამჩნევად იმატა. ამ ჯერზე კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ სხვადასხვა გამოკვლევით დადგინდა, რომ რძის ნაწარმის მწარმოებელი ბევრი ცნობილი ფირმის პროდუქცია სტანდარტებს არ შეესაბამება ისევე, როგორც ეს ნაყინის რამდენიმე პოპულარული ბრენდის ნუგბარს სჭირს, გახშირდა შაურმით მოწამვლის შემთხვევები, რომლის ხორცი წესით მაქსიმალურად დაცულ სივრცეში უნდა ინახებოდეს და ყოველდღიურად იცვლებოდეს (!), რასაც, ცხადია, არავინ აკეთებს და არც პასუხის მომთხოვნია ვინმე.

ყველაფერ ამას, ცხადია, ხელის ერთი დაკვრით ვერ მოევლება, მაგრამ აქტიური მოქმედება ყველა მიმართულებით რომაა საჭირო, ვფიქრობ, ეჭვგარეშეა, რადგან სოციალური ნდობის ლიმიტი, რომელსაც ახალი ხელისუფლება ფლობს, უსაზღვრო არ არის.

**დაბოლოს, თავად წინამდებარე მასალის თაობაზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას. ნაწერს თვალი რომ გადავავლე, ერთგვარად რამდენიმე სხვადასხვაფენიანი მასალა გამოვიდა, რომლის ცალ-ცალკე თემებად დაყოფა კი იყო შესაძლებელი, მაგრამ ისევე დატოვება ვამჯობინე, რადგან მაინც ცხელ გულზეა გაკეთებული და, ალბათ, რაღაც წილად, უფრო ნაღდი და გულწრფელია.**

**ოთარ ტურაზელიძე**

**სიგარეტი**

# იანვრის ნაცვლად სექტემბრიდან გაძვირდება

**რამდენიმე დღეში პარლამენტი განიხილავს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებულ კანონპროექტს თამბაქოზე აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით. დღეისათვის აქციზი ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრია, უფილტროზე — 15. ხადურის უწყების წარდგენილი დოკუმენტის მიხედვით სექტემბრიდან ფილტრიანზე აქციზი 75 (+15) თეთრი იქნება, უფილტროზე 20 (+15). როგორც კავკასიის კორპორატიული საკითხებისა და კომუნიკაციების მენეჯერი ნიკოლოზ მჭედლიშვილი აცხადებს, აქციზების ზრდა იმას არ ნიშნავს, რომ ფილტრიანი სიგარეტი ერთბაშად 15 თეთრით გაძვირდება. შესაძლო ფასებს ფინანსური დეპარტამენტი დაადგენს, — ამბობს მჭედლიშვილი.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2012 წელს თამბაქოს აქციზიდან ბიუჯეტში 267 მლნ ლარი შევიდა. აქციზის ზრდით, ექსპერტები შემოსავლის სახით დამატებით 70 მლნ ვარაუდობენ.




საქართველოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციისა და მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელის **გიორგი ბახტურიძის** განცხადებით, სიგარეტის შემომტანი და ადგილობრივი კომპანიები უკვე ალაპარაკდნენ შავი ბაზრის რისკზე. ეს გავლილი სკოლაა, მიაჩნია ბახტურიძეს და აკონკრეტებს — **ამ საფრთხეზე ყოველთვის საუბრობენ, როდესაც საქმე აქციზზე ფასების მატებას ეხება. ცენტრის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ კარგი ადმინისტრირების პირობებში შავი ბაზრის რისკი გამორიცხული იქნება.**

წინა ხელისუფლების პირობებში, ამბობს ბახტურიძე — ხელისუფლების მაღალი ეშელონები უშუალო კავშირში იყვნენ თამბაქოს ინდუსტრიასთან და კომპანიებს სასათბურე პირობებს უქმნიდნენ. თამბაქოს ბიზნესში დაკავებულნი ახლაც შეეცდებიან ახალ ხელისუფლებასთან გამონახონ „საერთო ენა“ და გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენა იქონიონ. როგორ მოეკიდება ამ საქმეს ახალი ხელისუფლება, მის მიერ გატარებული პოლიტიკით გამოჩნდება, — ასკვნის ცენტრის ხელმძღვანელი.

მისი თქმით, არათუ უნდა გაძვირდეს აქციზი, არამედ ისევე როგორც ბევრ ქვეყანაშია, თამბაქოს მწარმოებლებმა ჯარიმაც უნდა გადაიხადონ იმ ზიანისთვის, რაც სიგარეტს მწეველების ჯანმრთელობისათვის მოაქვს.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის **ამირან გამყრელიძის** ინფორმაციით, უახლოეს მომავალში, 4-5 წლის განმავლობაში თამბაქოს აქციზი ეტაპობრივად გაძვირდება. ამას ითვალისწინებს თამბაქოს კონტროლის სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობას უკვე აქვს. გამყრელიძის განმარტებით, სტრატეგია ითვალისწინებს საინფორმაციო კამპანიასა და საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევას. ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ ხელისუფლებამ ყველანაირად შეუწყოს ხელი თამბაქოზე დამოკიდებულთ, რათა მათ შესძლონ მისთვის თავის დანებება.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. ჩვენ მოვიპოვეთ „ლე ფიგაროს“ მიერ შედგენილი რეიტინგ-ლისტი, სადაც ქვეყნები თამბაქოს პროდუქციის მიხედვით დაყოფილნი არიან „ძვირებად“ და „იაფებად“. კრიტერიუმად აღებულია ერთი სტანდარტული საშუალო კოლოფის ფასი (ევროში).**

**„ძვირები“: ნორვეგია — 10,45 ევრო; ირლანდია — 9,30; დიდი ბრიტანეთი — 9,03; საფრანგეთი — 6,60; შვეიცარია — 5,58; დანია — 5,64; გერმანია — 6,26; ბელგია — 5,26; იტალია, ფინეთი — 5-5 ევრო და ა. შ.**

**„იაფები“: რუმინეთი — 0,89 ევრო; ბელორუსი — 0,92; სერბეთი — 1,17; უკრაინა — 1,33; ალბანეთი — 1,49, რუსეთი — 2,06; ლატვია — 2,49; ბულგარეთი — 2,55, უნგრეთი — 2,71 ევრო და ა. შ.**

**ზ. ბ.**

**სააქციო საზოგადოება ბიზნეს ცენტრი „მონტაჟსპეცმშენის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბ-ნ გივი შანიძეს მეუღლის**

**იდას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ეთერ ქემერტელიძე თანაუგრძნობს ანა თოფურიას და თენგიზ ცერცვაძეს დედისა და სიდედრის**

**დიანა ქავთარაძე-თოფურიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მანანა მალანია, მერცია ბოსტოღანაშვილი, ლალი ჭილაია, ლარისა ჩხაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ანა თოფურიას დედის**

**დიანა ქავთარაძე-თოფურიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ცისანა შარტავა ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ანა, თენგიზ ცერცვაძეებს, ლია, ირინა თოფურიებს დედის**

**დიანა თოფურიას**

**გარდაცვალების გამო. უფალმა ნათელში დაამკვიდროს ქალბატონი დიანას სული.**

---

**საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახური ულრმესი მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ძვირფასი პიროვნებისა და მოქალაქის**

**ნათელა ფხაკაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**განცხადება**

**შპს „ბიზნეს ცენტრი სასტუმრო რუსთავის“ დირექტორი მალხაზ ალბორაშვილი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა კრებას შემდეგი დღის წესრიგით:** 1. საზოგადოების მიერ საბანკო დაწესებულებებთან გრძელვადიანი საკრედიტო ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება/მოწონება; 2. საორგანიზაციო საკითხები.

კრება ჩატარდება 2013 წლის 6 ივლისს, 12 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №32.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

### აყვავებული აივანი

**ახლახან გადავედით ახალ ბინაში, რომელსაც აქვს ვრცელი აივანი. უკვე დავდგით ყვავილების ქოთნები და ყუთები. მინდა მათში „გავაშენო“ უწყვეტი ყვავილობის მინი ბაღი. რომელი ყვავილებია ამისთვის უფრო ხელსაყრელი?**

**თამუნა გ. თბილისი**

**გვიპასუხებს ლანდშაფტის დიზაინერი ნუცა ბერიაშვილი:**

— ყვავილები ქალაქის აივანზე — ეს არა მხოლოდ სილამაზეა. ისინი აკავებენ მტვერს, ასუფთავებენ ჰაერს. აივანზე, უწინარეს ყოვლისა, რგავენ ერთწლიან ყვავილებს.

აივნის დედოფალი პეტუნია. იგი ყვავის ივნისიდან ყინვებამდე. ესაა ამტანი მცენარე. მაგრამ საჭიროა დროულად დავკრიფოთ მისი ყვავილები, რომ არ წოვდნენ წვენს მცენარეს. მეორე ყვავილი, რომელიც შესანიშნავად შეეხამება აივანს, არის ტაგეტესი. იგი არის სხვადასხვა ფორმის — ფუშფუშა ბუთხუზა ქუდებით და ბუჩქოვანი, მისი ფერებია — ყვითელი, ნარინჯისფერი, მუქი ყავისფერი. მისი სიმაღლე მერყეობს 20-დან 70 სანტიმეტრამდე, ამიტომ ეცადეთ, აარჩიოთ დაბალი ხარისხისა. აივნის ტრადიციული მცენარეა დედოფლის ყვავილი. იგი ივლისიდან ოქტომბრამდე ყვავის, მისი უხვი სიმწვანე აივანს ამშვენებს მთელი ზაფხული. ასევე გირჩევთ, დარგოთ აივანზე ლობელია — კომპაქტური მცენარე წვრილი ფოთლებით, რომლებსაც ამშვენებს წვრილი ყვავილები. ის არის თეთრი, ცისფერი, ლურჯი, ვარდისფერი, ღია წითელი. აივნისთვისაა კიდევ ერთი შესანიშნავი მცენარე



— ბეგონია. იგი ყვავის მაისიდან ოქტომბრამდე, თუმცა არ უყვარს მზის პირდაპირი სხივები.

თუ არის შესაძლებლობა დავაყენოთ შპალერი ან გავჭიმოთ თოკი კედლის გასწვრივ, შეიძლება დავრგოთ ხვიარა მცენარეები. აივანზე კარგად გამოიყურება ბაღის არჯაკელი, ოპომეა, ხვიარა ნასტურცია.

ყვავილებისთვის საუცხოო კომპანიონებია ცინერარია — დეკორატიული მცენარე ვერცხლისფერი, შუაზე გაყოფილი ფოთლებით, აგრეთვე კოლეუსი (მისი ფოთლები ჭინჭრისას ჰგავს, მხოლოდ წითელია), წითელფოთოლა მჟაველა. ისინი სიამოვნებას მოგანიჭებენ ზაფხულსა და შემოდგომაზე. სხვათა შორის, ისინი შეიძლება დავრგოთ უკვე დაყვავილებული მცენარეების ადგილზე.

აივანზე ქოთნებისა და ყუთების გარდა შეგიძლიათ ჩამოკიდოთ ქოთნები, რომლებშიც შეიძლება ჩავრგოთ ასევე იგივე ყვავილები. ზაფხულში შეიძლება გამოვიტანოთ აივანზე ოთახის მცენარეები — მათაც ძალიან რგებთ სუფთა ჰაერი.

### გავსუქდი ვეგეტერიანობის გამო...

**სამი თვის წინათ ვეგეტერიანელი გავხდი და ამ ხნის განმავლობაში ოთხი კილო მოვიმატე წონაში. რატომ მოხდა ასე, ხომ ამბობენ, რომ ვეგეტერიანელები ჩვეულებრივად ხორცისმჭამელებზე უფრო მოხდენილები არიანო.**

**გუგული ტ. ოზურგეთი.**

**გვიპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი ქეთევან ჭიაბერაშვილი:**

— ისინი, ვინც დიდი ხანია იცავენ ვეგეტერიანულ რაციონს, უმრავლეს შემთხვევაში მართლაც უფრო მოხდენილები არიან. მაგრამ კვების ხორციანი ტიპიდან მცენარეულზე გადასვლის დროს ხშირად შეინიშნება წონაში ოდნავ მომატება.

მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს. ჯერ ერთი, ნებისმიერი ცვლილება კვებაში — სტრესია ორგანიზმისთვის. ხოლო იმისთვის, რომ სტრესს გაუსწორდეს, ადამიანი იწყებს, ზოგჯერ შეუგნებლად, ნახშირწყლებზე — კარტოფილზე, ტკბილეულზე, პურზე — აქცენტის გაძლიერებას. რასაკვირველია, წონა მენიუში ასეთი გადახრის გამო იმატებს.



მეორეც, პირველ ხანებში, სანამ ადამიანი ჯერ კიდევ ვერ შეეგუა ვეგეტერიანულ რაციონს, ვერ ისწავლა ახალი კერძების მომზადება ხორციანის ნაცვლად, მას ორგანიზმში შეიძლება ცილების დეფიციტი გაუჩნდეს. ამის გამო იკარგება კუნთოვანი მასის ნაწილი, ხომ სწორედ კუნთებში იწვის ცხიმი. გამოდის, რომ ის, რაც ადრე იხარჯებოდა, ახლა შეიძლება მარაგში გადავიდეს. აი რატომაა, რომ ვეგეტერიანულ რაციონზე გადასვლას ყურადღება და გონიერება სჭირდება. მენიუს საფუძველი უნდა გახდეს უკრახმალო ბოსტნეული (ფურცლოვანი სალათი, კიტრი, პომიდორი, კომბოსტო) და ბურღულეული. ხილი უნდა მივიღოთ შეზღუდული ოდენობით: მასში ბევრი მჟავაა, რომელიც აძლიერებს მადას, და ფრუქტოზა, რომელიც საკმაოდ კალორიულია.

### ნათელი სტარტი

**როგორ ბავშვებზე შეიძლება ითქვას, რომ ის არა მხოლოდ ნიჭიერია, არამედ ვუნდერკინდიც?**

**ვანო მ. ზუგდიდი**

**გვიპასუხებს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ თურძია:**

— ვუნდერკინდის გამორჩევა ძნელი არ არის: მას არ სჭირდება ჩიჩინი ისწავლეო, ის წერს, ხსნის ამოცანებს ან ხატავს იმისთვის, რომ უფროსების ქება დაიმსახუროს, სამუშაოს მისი ტვინი ითხოვს. ასეთ ბავშვს აქვს უზარმაზარი შინაგანი მოტივაცია, ის ნებისმიერ საქმეს აკეთებს თავად, ღებულობს ინფორმაციას, თითქოსდა, არსაიდან, ან, პირიქით, ყველაფრისგან, ზოგჯერ უფროსები ვერც ხვდებიან, თუ როდის მოასწრო ბავშვმა ამის სწავლა. ასეთი ბავშვების მიერ ახალი ინფორმაციის მიღების პროცესს თან ახლავს განსაკუთრებული ემოციური ამაღლება, შემოქმედებითი ექსტაზი. და ისინი ცდილობენ კვლავ და კვლავ დატკბნენ თავისი ნამუშევრით.

მაგრამ რა მოჰყვება ასეთ ნათელ სტარტს? შეინარჩუნებს კი ვუნდერკინდი თავის ნიჭსა და წაიღებს თუ არა ის ამ ნიჭს მოზრდილ ცხოვრებაში? სამწუხაროდ, ამას ყველა როდი ახერხებს. სახელგანთქმულ ადამიანთა ნახევარი, რომელთა სახელებიც ყველას პირზე აკერია დღეს, ოდესღაც ნიჭიერი ბავშვები იყვნენ, მაგრამ ვუნდერკინდების მხოლოდ 3-5 პროცენტმა შეძლო გამხდარიყო მოზრდილ ცხოვრებაში სახელგანთქმული. გაცილებით უკეთესია პროგნოზი ნობელის პრემიის მიღებაზე იმ ნიჭიერი ბავშვების მიერ, რომლებიც ვითარდებიან თანატოლებთან თანაბრად ან უფრო ნელაც კი, ვიდრე მათი თანაკლასელები.



## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### ახალგორში ოსური პასპორტის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება

არანაირი იძულება და ძალდატანება! ახალგორის რაიონში ოსური პასპორტის აღების მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. აღნიშნული დოკუმენტის აღებას, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ნაცნობობა და სპეციალური ჩაწყობაც კი სჭირდება. როგორც აღნიშნავენ, მოსახლეობის ამგვარი ქმედება, მათი გარემო პირობებიდან გამომდინარე, აბსოლუტურად გასაგებია და ამის გამო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პრობლემები არ უნდა შეექმნათ.

**„რეზონანსი“**

### „მეოცნებეები სკანდალური კადრებით ნაციონალებთან ვაჭრობენ“

— აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, — ეს ამაზრზენი კადრები აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს, რადგან არ მოხდეს ვაჭრობა და გარიგება ნაცმოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ შორის, რომ ეს თემა არ დაიხუროს და ყველა დამნაშავე მკაცრად დაისაჯოს. ქართული საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა კიდევ ბოლომდე ვერ გაიგო, რა დანაშაული აქვთ ჩადენილი ამ არამზადებს.

**„ახალი თაობა“**

### ვინ მისცემს სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას?

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, „რახან პრეზიდენტი უკვე ნელ-ნელა ამბობს უარს სხვადასხვა ადამიანებთან ნაცნობობის გახსენებაზე და ეს იმას ნიშნავს, რომ მათ, ფაქტობრივად, სწირავს, ახლა ამ ადამიანებმა უნდა დაიწყონ ლაპარაკი, თორემ აღმოჩნდებიან განწირულები, როგორც ერთი მხრიდან, ასევე მეორე მხრიდანაც. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ ეს ადამიანები დაიწყებენ ჩვენების მიცემას... მაგალითად, ისინი, ვინც იარაღების სამალავების საქმეში იყო ჩართული... სააკაშვილი ირწმუნება, რომ ეს იარაღი იყო რუსეთთან საბრძოლველად. თუ რუსეთთან საბრძოლევად იყო, მაშინ პირველი, რაც სააკაშვილს უნდა გაეკეთებინა, თავდაცვის სამინისტროსთვის უნდა ეთქვა, სად არის ამ იარაღის წერტილები. მას ეს არ გაუკეთებია. ამიტომ სავარაუდოა, რომ რუსეთის კი არა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად ჰქონდა ეს იარაღი“.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ტიპმა ოქროს თევზი დაიჭირა.**

**— მეჩქარება, ერთი სურვილი მითხარი და წავედი. ჩქარა, ჩქარა! — აჩქარებდა თევზი.**

**— ჩემ სახლში რაც დაეტევა, იმდენი ფული მინდა.**

**— კარგი, პრობლემა არ არის, წადი სახლში. უკვე შესრულებულია.**

**კაცი გავარდა სახლში და ხედავს, მაგიდაზე მარტო 5-ლარიანი დევს. გადაირია, გამოვარდა თევზთან:**

**— მეკაიფები?! რა არის ერთი 5-ლარიანი.**

**თევზმა გაიკვირვა:**

**— ხომ მითხარი იმდენი ფული მომეცი რაც ჩემს სახლში დაეტევაო.**

**— კი, გითხარი!**

**— მერე 5-ლარიანი არ ეტევა?**

* * *

**— ქიმიკოსი ბრძანდებით?**

**— არა, ეს ჩემი ცოლის პარფიუმერიის მაგიდაა.**



**— ზედმეტი წონა არ გაწუხებს?**

**— არა, რადგან ეგ ზედმეტი კი არა, სათადარიგო წონაა!**

* * *

**სვანთან მივიდნენ ორი ამბის სათქმელად. ერთი ცუდის და ერთი კარგის. კარგის თქმა ველარ მოასწრეს...**

* * *

**— რა არის, ყოველი მეორე სიტყვის მერე რომ იგინები!**

**— რა ვქნა, უფრო ხშირად არ გამომდის!**

* * *

**— ექიმო, სიგარეტის მოწევას თავი დავანებო?**

**— არ არის საჭირო, უკვე გვიანია.**

* * *

**— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი? — ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.**

**— მომენატრა არსება, რომელიც პირს იმისთვის არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.**

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com